საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია № 201 ხუთშაბათი, მარტის 22 (3) 1918 წ. № 201

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ბაქოს გაემგზავრა სეიმის მიერ არჩეული დელეგაცია ბაქოს ამბების გამოსაძიებლად.—ტფილისიდან გაიგზავნა საარტილერიო ბატარეია ცხინვალის ამბების სალიკვიდაციოდ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა") ბარათის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 8-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ვრცის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინის ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 35 კაპ.

ტელეფონი 12—29

დიდა აკვილინა ნიკოლოზის ასული კაპარაძე შვილებით, იოანე ნიკოლოზის ძე პიტიაძე, გერასიმე და არსენა ნიკოლოზის ძენი ფორჩხიძეები ოჯახითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 18 მარტს უდროოდ გარდაიცვალა საყვარელი

## გერმანე [ჩიჩიკო] ნარსია

პანაშვიდი 20 მარტს საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე (19 თებერვლის ქ. № 5. გასვენება 21 მარტს 3 ს. ტფ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ ქ. ქუთაისს პოდგორნი ქ. პანაშვიდი ყოველ დღე ქ. ქუთაისში სად. 6. დაკრძალვა კვირას 25 მარტს, ნაშუადღევის 3 ს.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ეგნატე ივანეს ძე და ელისაბედ ნიკოლოზის ასული ნარსია და მათი შვილები: ნადია, გრიგოლ, კონსტანტინე და უკანასკნელის ცოლი ლიდია გაბრიელის ასული, ვლადიმერ, ალექსანდრე, შალვა, ოლღა, თამარ და ელენე და დისწული სოსო გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობებს და მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას საყვარელი

## გერმანე (ჩიჩიკო) ნარსიასი.

პანაშვიდი 20 მარტს საღამოს 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (19 თებერვლის ქ. № 5 საკუთარი სახლი) გამოსვენება 21 მარტს 3 საათზე ტფ. სადგურზე, საიდანაც წაასვენებენ ქ. ქუთაისს. პოდგორნი ქ. პანაშვიდი ყოველ დღე ქ. ქუთაისში, დაკრძალვა კვირას 25 მარტს ნაშუადღევის 3 ს. 330-2

18 მარტს სოფ. კარდანახში დახოცეს ორი ძმა

## ივანე და ლევან ილიას ძენი
## აფხაზი

განსვენებულებზე პანაშვიდი გადახდილი იქნება 22 მარტს, 12 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. 333

# სახლის კომიტეტების კრება

პარასკევს 23 მარტს, ნაშუადღევის 5 საათზე ნაძალადევის თეატრში მოწვეულია სახლების,

**კვარტალების, რაიონების და უბნების კომიტეტების წარმომადგენელთა**

საერთო კრება, **მე-10, მე-11 და მე-12 სამილიციო უბნებისა**

პურის ფასის საკითხის განსახილველად.

სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს ქალ. გამგეობის წევრი დ. პოპოვი.

აუცილებლად საჭიროა ყველა წარმომადგენლის დასწრება.

1119 ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

# ქართული თეატრის აღორძინება

ქართული დრამატიული საზოგადოება მოუწოდებს ქართველ ინტელიგენტ ახალგაზრდობას (18 წლ. 30 წლამდე) გამოცხადდნენ ჩასაწერად სრულიად ახალ დასის შესადგენად ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ დაარსა სასცენო ხელოვნების სტუდია. ამ სტუდიაში მომზადებულ მსახიობებით გამართავს წარმოდგენებს ჯერ ტფილისის სახაზინო თეატრის შენობაში და შემდეგ თავის საკუთარ თეატრში. მსურველნი ამ სტუდიაში სრულიად უფასოდ შეისწავლიან: **დიქციას, მიმიკას, პლასტიკას, რიტმს დალკროზის სისტემით, ფარიკაობას, გრიმს, ხმის დაყენების და ვისაც სასიმღერო ხმა აღმოაჩნდება—სიმღერას.** თუ რომელსამე მომავალ მსახიობს აღმოაჩნდება მუსიკის ნიჭი, შეისწავლის დაკვრას იმ ინსტრუმენტზე, რომელსაც მოისურვებს.

დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში რომელიც იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე № 11. ჩაწერა დაიწყება 21 მარტს და გაგრძელდება მხოლოდ ორი კვირა, ე. ი. 5 აპრილამდე.

კანტორა ღიაა დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4—6 საათამდე.

ტფილისის გარეთ მცხოვრებთ შეუძლიანთ წერილობით გვაცნობონ ამ ის ამართით: ქართული დრამატიული საზოგ. გამგეობა. 1117



# დიდი ცირკი
## ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 22 მარტს, გაიმართება

## დიდი წარმოდგენა

ახალი გასტროლიორების მონაწილეობით. მონაწილეობენ: ალმოსავლეთის მომღერალი მოცეკვავე ყეროჩკა ალმაზოვა: საუცხოო სანახაობა; მთის სამიარწივი ჰაერში; სასიკვდილო ნახტომი, ტრიო ხახოვიტი; ძმ. ვინჩენკო, „ალინი ბუზები" დე-ლა-კაზო და სხვა „მოჯირითეები, ჟონგლიორები და სხვ. დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 ს. ანონსი: კვირას 25 მარტს გაიმართება 2 სადღესასწაულო წარმოდგენა. 336

## აგარაკი წაღვერი

(ბაკურიანის რკინის გზა, ბორჯომიდან 12 ვერსზე)

## პანსიონი ელისაბედ მღებრიშვილისა

(მეთორმეტე სეზონი)

პანსიონი მოთავსებულია ახლად აგებულ შენობაში, მაღლობ და განცალკევებულ სუფთა ადგილს, ფიჭვ-ნაძვნარში, ყოველივე მოწყობილობით. პანსიონთან იმყოფება ექიმი, არის სდგანდეზოდ გამოყვანილი წყაროს წყალი. არის **მანეჟი**, პიანინო და სხვ... სახლიდან მოსჩანს საუცხოვო სანახაობა,..

აგრეთვე წაღვერში მომდინარეობს შეტად სასარგებლო **მჟავე** (რკინის) წყალი.

პირობების გაგება შეიძლება იქვე, წაღვერში: Цагвери (черезъ Боржомъ) Елизаветѣ Яковлевнѣ Мгебришвили.

**ტფილისი, 22 მარტი 1918 წ.**

**ანარქია და მდგომარეობა.** გაითვალისწინეთ დღევანდელი ამიერკავკასია. აქარაში საშინელი მდგომარეობა იქმნება, მთელი წლების განმავლობაში სიკეთისა და ძმობის თესლს ვსთესდით მოძმეთა შორის და დღეს გულუბრყვილო აჭარლები ბეგების ანკესს წამოეგენ და იარაღით ხელში უხვდებიან ჩვენს რაზმებს. ქუთაისის გუბერნიის მთელი რაზმი უწესოების გამო კანონს გარეშეა გამოცხადებული, ტფილისის გუბერნიაში, ცხინვალში სისხლის ტბაა დაყენებული და მოჰკლეს სოც.-დემოკრატიულ პარტიის ისეთი მოღვაწენი და კომისარი, როგორც გიორგი მაჩაბელი, კეცხოველი და სხ. სადახლოს დრამა სულ გუშინდელი ამბავია, ბაქოს მხრივ ხომ კიდევ შემაძრწუნებელი ცნობა მოვიდა და ქალაქი თავის რაიონით ზარბაზნების ცეცხლშია გახვეული.

ასეთი ანარქია და არევ დარევა ჯერ ჩვენ არ გვინახავს. სამოქალაქო ომის ცეცხლი გაჩაღებულია, აღარ ვიცით ვინ არის მტერი და მოყვარე, აღარ ვიცით ვისთვის რას ნიშნავს რევოლიუცია, დემოკრატია, სამშობლო. ერთი რამ უნდა ვსთქვათ აშკარად: დღევანდელ მდგომარეობაში დაიღუპება როგორც რევოლიუცია ისე სამშობლო. ამდენ არევ-დარევას, ანარქიას შეუძლებელია გაუძლოს დემოკრატიამ, როდესაც საზღვარზე თავზეხელაღებული მტერი სდგას და იბრძვის რევოლიუციის და ჩვენი ქვეყნის დამორჩილებისათვის.

რევოლიუციის გასაძლიერებლად ამიერკავკასიის ძალებმა შექმნა ამიერკავკასიის სეიმი და სეიმის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა, მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობამ ამიერკავკასიის ვერც ერთი კუთხე ვერ დაიხსნა ანარქიისა და სამოქალაქო ომის ცეცხლისაგან. ეს დამღუპველი ჯოჯოხეთური მდგომარეობა უნდა მოისპოს როგორმე თუ გვინდა ერისა და სამშობლოს, ხალხის და რევოლიუციის სიცოცხლე. პირველი სიტყვა, რომელიც ჩვენ უნდა ვსთქვათ აწეწილ მდგომარეობის მოსაგვარებლად ფიცხელ დამთურგვნელ ზომების მიღებაა საჭირო, მთავრობის გაძლიერება, რევოლიუციონურ რაზმების მოქმედების გაცხოველება, შეერთება რევოლიუციონურ და ეროვნულ-რევოლიუციონურ ძალებისა, რათა სიტყვით და იარაღით დაცულ იქნას წესიერება, მშვიდობა, რაიცა ერთად ერთი პირობაა მონობას რომ გადავრჩეთ, სამუდამოდ რომ არ აგვიღაგმოთ.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ამ ანარქიაში ხედავს სამშობლოს და რევოლიუციის განსაცდელს. ს.-ფედერალ. პარტია ამ ანარქიის დასათრგუნავად რევოლიუციონურ მთავრობას მხარს დაუჭერს თავის რაზმებით, რათა ამ გზით აღსდგეს მთლიანი შინაური რევოლიუციონური ფრონტი.

ყოველ პირობის გარეშე ჩვენ ამ გაუგებელ, წუთის საბედისწერო საკითხში იქა ვართ, სადაც უნდა ვიყოთ: რევოლიუციასთან და სამშობლოსთან. მხოლოდ საჭიროდ მიგვაჩნია დღევანდელ მდგომარეობას უფრო ფართოდ და ღრმად შევხედოთ, ვინაიდან არ გვგონია, რომ ესოდენ ფართოდ მოდებული ანარქიული მოძრაობა მარტო ხელოვნურ ზეგავლენით დავსძლიოთ. ჩვენ გვგონია, რომ შინაურ ფრონტის გაძლიერება უფრო მოხერხდება მთავრობის საკითხის მოგვარებით. რანაირი შეხედულებისაც არ უნდა ვიყოთ დღევანდელ მთავრობასა და სეიმზე ერთი რამ ყველასათვის აშკარაა: ამიერკავკასიის ძალები სეიმსა და მთავრობაზე აღარ ამყარებენ ყოველ იმედს და სეპარატიულად მოქმედებენ, სეპარატიულად ქმნიან თავიანთ ნორმებს და წესებს. ეს კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს, რომ შეუძლებელია ამიერ-კავკასიაში მთავრობა არ მოეწყოს ეროვნულ პრინციპის მიხედვით, შეუძლებელია კიდევ გადავსდოთ მორეულ საკითხში ეროვნულ კითხვის გადაწყვეტა, შეუძლებელია ეხლავე არ გადავსდგათ გადაჭრილი რევოლიუციონური ნაბიჯი ერების გამიჯვნისა, ეროვნულ მთავრობის და ფედერალურ საბჭოს შესაქმნელად.

გამობდით და დღესაც ვიმეორებთ, რომ სხვა გზა მშვიდობიანობისა არ არსებობს. ეროვნულად ჭრელ ქვეყნებში ყველგან ეროვნულ პრინციპის მიხედვით სჭრიან სამთავრობო და საკანონმდებლო საკითხებს და ამ საქმეში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების მაგალითი და თვით ამიერკავკასიის მდგომარეობა. დაყოვნება აქაც შეუძლებელია.

## დაშნაკელები და ბოლშევიკები

როგორც დაშნაკელებია სომეხთა პარტია, ისე ბოლშევიკები ველიკოროსული, რუსეთის პარტიაა. ვინ არ იცის, რომ რუსული აზროვნება, რუსული ერთობა დაშნაკელების სამოთხე იყო ყოველთვის და ვის გაუკვირდება რომ ეს ტრადიცია, მამაპაპური სიყვარული დღესაც თავს იჩენს და დაშნაკელებს აყვარებს ბოლშევიკებს.

ამ დღეებში „კავკაზსკოე სლოვოში" სომხურ გაზეთ „არევიდან" ადგილები იყო ამოღებული, სადაც დაშნაკელების გაზეთი ორიენტაციას არკვევდა. დასკვნა ასეთი იყო: ჩვენ მსოფლიოს დემოკრატიისაკენ მივისწრაფვით. მსოფლიოს დემოკრატია ის რაში გახლავსთ, რომლითაც პეტროგრადიდან მოსკოვამდე მოგზაურობს სახელოვანი ლენინი, ხოლო ამ საერთო მიზნისათვის საერთო ბრძოლასაც აწარმოებენ დღეს ბაქოში ბოლშევიკები სტეფანე შაუმიანის მეთაურობით და დაშნაკელები. ჯერ კიდევ არ დაგვიწყებია ტფილისელებს სეიმში სოციალ-დამოკრატების მიმართვა დაშნაკელებისადმი, როდესაც პირველნი ეუბნებოდნენ მეორეთ: სთქვით უკანასკნელად: ჩვენთანა ხართ დაშნაკელები თუ ბოლშევიკებთანო. დაშნაკელებმა მენშევიკებს დაუჭირეს ხელი, თუმცა მათი პრესა მუდამ ბოლშევიკურ ჰანგებზე იყო მომართული და დღესაც ბოლშევიზმს უკმევს გუნდრუკს.

ტფილისის დაშნაკელები უფრო ფრთხილად მოქმედებენ ამ შემთხვევაში, აქ სხვა სოციალური ძალთა განწყობილებაა და მენშევიკებს ჯერ კიდევ არ დაუკარგავთ ძალა-უფლება, მაგრამ ბაქოში, სადაც ბოლშევიკების ბატონობა ესეც არის განმტკიცდეს, დაშნაკელები ყოველ შემთხვევაში მათთან არიან და ტფილისსაც, სეიმსაც ემუქრებიან: მოვალთ და წაგლეკავთო.

ბოლშევიზმი შეიძლება ძალიანაც ვაძაგოთ და ძალიანაც ვაქოთ თუ მხედველობაში მივიღებთ ხან წმინდა თეორეტიულ, აბსტრაქტულ და იდეურ სამოსელს, ხან კი მის ცხოვრების სინამდვილეში, მოქმედებაში, მის შემადგენელ ელემენტების საქმეში შევიხედებით, მაგრამ სულ სხვა არის დაშნაკელების დამოკიდებულება ბოლშევიკებთან. აი უფრო პირდაპირი ბაქოელი დაშნაკელები, ვიდრე სოლოლაკის გმირებია—აშკარად გვეუბნებიან: ჩვენ ბოლშევიკებთანა ვართ, თუმცა ბევრ რამეში არ ვეთანხმებით ბოლშევიკებსო.

ჩვენ გვინდა განვმარტოთ ეს თილისმა, გამოვარკვიოთ შინაარსი დაშნაკელების ესოდენი სიყვარულისა ბოლშევიკებისადმი. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, მთელ ამიერკავკასიისთვის საბედისწერო მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს, მარტო ტფილისში ათი ათასობით ითვლებიან დაშნაკელები, რომელთაც ბოლშევიკების გაბატონებისათვის უძგერთ გული.

ძალიან დამახასიათებელია დაშნაკელების განცხადება ბოლშევიკებისადმი: ჩვენ ბოლშევიკებთანაც ვართ და არცა ვართ ბოლშევიკებთანაო. ეს სრული ჭეშმარიტებაა. სომხის ხალხი ჩვენში ბუხჰალტერიის და ვაჭრობის ხალხია, დაშნაკელები კი პოლიტიკაში აწარმოებენ ბუხჰალტერიას და ჩარჩობას.

რა მიზანი აქვს ჩარჩს ცხოვრებაში: ყველა ვაჭარი გააკოტროს, დაღუპოს, ოღონდ თვითონ მოიგოს. ამისათვის სპეკულიაციას იყენებს, აჟიოტაჟს, ყოველ აფერას. დაშნაკელებსაც სწორედ ეს მიზანი აქვთ: დააუძლურონ ადგილობრივი ერები, ამისათვის ხელი შეუწყონ ყოველ ავანტიურას, ვინაიდან ეს გამოიწვევს სომხის გაძლიერებას. როგორც ვაჭრის მაღაზია საუცხოვო ვიტრინით არის დამშვენებული, რომლის განცხადებაც, უეჭველია. ჰუმანიურ კილოზე არის მოქარგული, ისე დაშნაკელების პარტიას საუცხოვოდ შედგენილი პროგრამა აქვს, შიგ არის მოთავსებული ავტონომია, ფედერაცია, სოციალიზაცია, მაგრამ ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, ისეთი პერიოდი, რომ დაშნაკელების პარტიას მოქმედების და აზროვნების, პროპაგანდა-აგიტაციისათვის ავტონომია-ფედერაცია გეხადოს. დაშნაკცუტიუნი მუდამ რუსეთისაკენ იცქირება, ველიკოროსულ ბოლშევიზმს ხელს უწყობს და „მსოფლიო დემოკრატიის" ძიებით ხელს აძლევს მსოფლიოს ცენტრალიზმს. თეორიაში დაშნაკცუტიუნი დეცენტრალიზმის და ფედერალიზმის პარტიაა, პრაქტიკაში კი ის საოცრად ატომისტური და ცენტრალისტური პარტიაა. დაშნაკცუტიუნი ცენტრალიზმის მოსარჩლეა რუსეთშიაც და ამიერკავკასიაშიაც და თუ ასე მწარედ შეუყვარებიათ მათ სტეფანე შაუმიანის ბოლშევიზმი, იმიტომ, რომ ბოლშევიზმი პეტროგრადის ხელმძღვანელობით უღელდგმულობს და გულისხმობს რუსულ ცენტრალიზმს.

მომავალში, თუ არ მოისპო ბოლშევიკური პრაქტიკა—სომხები ბოლშევიკებს ძალიან შეიყვარებენ. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ბოლშევიზმი არსებითად ანტი-თათრული და ანტი-ქართული (მენშევიკური) მიმართულებაა. ბაქოში მუდამ ერთმანეთს ელეტდნენ სომხები და თათრები. დღეს რევოლიუციის დროს, მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ ერთი რამ უცვლელად დარჩა: სომხებს ძველადაც უყვარდათ რუსეთი და ეხლაც უყვართ, თათრებს კი ძველადაც სძულდათ რუსეთი და ეხლაც სძულთ. ბოლშევიზმი რუსეთის სიყვარულია, ამავე დროს, ესე იგი თათრულ პოლიტიკის უარყოფაა და აქ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ბოლშევიკები და თათრები. გუშინ ცნობა მივიღეთ ბაქოდან და ეს ცნობა გადმოგვცემდა, რომ ბოლშევიკური ზარბაზნები ანადგურებენ თათრებსაო. რა ხასიათზე იქნებიან ამ დროს სომხები? თუ ამის პასუხად მოვიგონებთ 20 მარტის სეიმის სხდომას და მუსსავატის წევრების განცხადებას, დავინახავთ, რომ სომხები ბოლშევიკების მხარეს არიან. რასაკვირველია, ცუდ დროს და ცუდ რამეში იხსენება ნათესაობა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება—თათრების წინააღმდეგ დაშნაკელები ბოლშევიკებთან არიან.

როგორც ბაქოშია სასურველი თათრების დაზარალება დაშნაკელებისათვის, ისევე სასარგებლოა სომხებისათვის ქართველების დაზარალება! კაი ხანია ჩვენ ტფილისი სადაო ქალაქად გადაგვიქცა, სომხები გათამამებულაც ყლაპავენ ტკბილ ნერწყვს, ხოლო ახალქალაქი, ახალციხე და მთელი რიგი სოფლები ქართლ-კახეთში ეროვნულ ანტაგონიზმის ბუდედ გადაიქცა ამ ბოლო დროს. ტფილისის საქალაქო არჩევნებში და ქალაქის თვითმართველობის დარბაზში რამდენჯერმე მწვავე ხასიათი მიიღო სოც.-დემოკრატ მენშევიკების და დაშნაკელების ბრძოლამ, რასაც უეჭველად ახასიათებდა ეროვნულ-კლასობრივი ბრძოლა და არა მარტო კლასობრივი კამპანია.

ტფილისში ბოლშევიკების გაბატონება იმ ნათესაობის გაბატონება იქნება, რომელიც ასე კარგად არის ჩამოყალიბებული ბაქოში. მენშევიკები სასტიკად დამარცხდებიან, მენშევიკე-

რი პოლიტიკა მიწას გაეკვრება და ამით განსაკუთრებით ისარგებლებს ბოლშევიკების კომისარი სტეფანე შაუმიანი და დაშნაკცუტუნი, რომელსაც თანაუგრძნობს ცნობილი პოლიტიკური ქამელეონი ალექსანდრე ხატისოვი. ასეთი სახელმწიფოებრივი გადატრიალება დააზარალებს ქართველებს, ცხოვრებაში გატარდება მთელი რიგი ანტი-ქართული კანონ-პროექტი, ტოპოგრაფია და დაშნაკცუტუნი სულს მოითქვამს ადვილად: შეიარაღდება, გაძლიერდება, მთავრობის ერთგულესი მონა ეს ერთად ერთი პარტია იქნება და დაამყარებს დაშნაკცაკანურ წესიერებას და მშვიდობიანობას.

რევოლუციის პირველ დღეებში გამოურკვეველი იყო დაშნაკცუტუნი და ის ლიბერალიზმს ეპლაუნებოდა, მილიუკოვის თამასუქებს რომანტიული ალღოთი ეხებოდა, ხოლო დღეს კი ეს პარტია რადიკალურ პარტიაზე რადიკალურია, მაქსიმალისტურია.

დღეს დაშნაკცუტუნი არსებითად დაინტერესებულია ბოლშევიზმით. ეს პარტია ავტონომიის და ფედერაციის პარტიაა, მაგრამ ამიერკავკასიაში მას ავტონომია ნაკლებ სარგებლს მისცემს ვიდრე ცენტრალიზმი. მართალია ბოლშევიკები ამ დროს ფედერალისტობენ კიდეც, მაგრამ ისინი მხოლოდ საბჭოების ფედერაციას აღიარებენ, და არა ერების ფედერაციას. ვიდრე საბჭოების ფედერაცია შეიქმნებოდეს, ბოლშევიკები ცენტრალისტები არიან და ამ დრომდე დაშნაკცაკანებიც ისარგებლებენ ცენტრალისტური ბოლშევიზმით. მხოლოდ მაშინ შეიძლება წინააღმდეგობა დაიბადოს ბოლშევიკებსა და დაშნაკელებს შორის, როდესაც ბრძოლის პირველი ეტაპი დასრულდება, როდესაც ბოლშევიკები საბჭოების კლასობრივ ნიადაგს დაადგებიან. ამისათვის დაშნაკლები ეხლავე იტოვებენ გამოსავალს და ამტკიცებენ, რომ ბოლშევიკებს ისინი ბევრ რამეში არ ემხრობიან დღეს, დაშნაკლები ბოლშევიკებს დღეს ემხრობიან ეროვნულ პოლიტიკაში, ამიერკავკასიაში ბოლშევიკური პოლიტიკა არსებითად სომხური პოლიტიკაა, ხოლო რაკი ჩვენში ეროვნული პოლიტიკა უმთავრესია, დამფარველია ყველა სხვა კლასობრივ პოლიტიკის, ამიტომ დაშნაკლები არაფრად აგდებენ ნაწილობრივ კლასობრივ პოლიტიკას, ოღონდ გატარდეს მთლიანი, ეროვნული სასარგებლო პოლიტიკა.

ბაქოში ბოლშევიკებმა იარაღი აიღეს და თათრებს ანადგურებენ. ჯერ ბრძოლას ეროვნული ხასიათი არ მიუღია—გვეუბნება დეპეშა. მაგრამ სომხებზე უკვე ბევრი სთქვა მავთულის ენამ და სთქვა ეროვნულ ჰანგის მიხედვით.

ჩვენი სურვილია ეს საშინელი ქარტეხილი ეხლავე დალაგდეს, დაწყნარდეს, მაგრამ გვეუბნებიან, რომ ბოლშევიკები და დაშნაკლები ზარბაზნების ლულას ტფილისისაკენ სწევენ და აპირებენ საგანგებო გამოლაშქრების მოწყობასაო. ეს უკვე ავანტიურა და სპეკულიაციაა. პირველი ბოლშევიკების ხელობად გარდაიქცა, მეორე დაშნაკლების საყვარელი საგანია. ყოველ შემთხვევაში მათში დიდი ნათესაური ელემენტია დაგროვილი.

ჩვენ არ ვიცით რამდენად გამართლდება ტფილისისაკენ პოლიტიკურ ავანტიურისტების და სპეკულიანტების გამოლაშქრების ამბავი, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: ასეთ საშუალებით დემოკრატია საქმეს არ აკეთებს. პრონუნსიამენტი არსებითად რეაქციონური აქტია და ვის რად უნდა ისეთი სახელმწიფოებრივი უფლებების ხელში ჩაგდება, რომელიც დემოკრატიის ნდობას და სურვილს არ ემყარება. ყოველ შემთხვევაში ეს დემოკრატიულ პარტიისათვის არ არის სასურველი. ასეთი ავანტიურა, დემოკრატიის უარყოფა გამოიწვევს მხოლოდ სამოქალაქო ომს, შინაურ ბრძოლას, ანარქიას და ეს სამარცხვინოდ დაასრულებს რევოლუციის სიცოცხლეს. ეს გზა სიკვდილია რევოლუციის.

ბოლშევიკურ-დაშნაკური კამპანია ავანტიურისტულ სპეკულიატიურია და თუ ეს კამპანია არ ალაგმა ინებებს თვით ბოლშევიკ-დაშნაკანელები. ამიერკავკასია დასახლებულია კომპაქტურ ეროვნულ ჯგუფებით, ამათ შორის პირველი ადგილი ქართველობას და თათრებს უჭირავთ და სიფთხილე მართებს ყველა ჯგუფს, როგორც ტერიტორიის, ისე უხალხოს ავანტიურა სპეკულიაცია დაივიწყონ და მშვიდობიანის გზით, კულტურულის ზით გააკეთონ თავიანთი საქმე.

თედო ღლონტი.

## მწარე სინამდვილე

ჩვენ ჩამოვშორდით რუსეთს, სინამდვილეა ეს, სიზმარი, თუ ფანტაზიის ნაყოფი?

ასჩვიდმეტი წელიწადი ვიყავით დაკავშირებული რუსეთთან, ეს კავშირი დაიშალა, შემაერთებელი ძალა განიავდა.

ზოგიერთისათვის ძნელი წარმოსადგენია უზარმაზარი, ძალუწვდენელი სახელმწიფოს ასე დაშლა, დანგრევა და გაჟერანება.

ნუ თუ მოსალოდნელი იყო, რომ ის გოლიათი, რომელიც გამოესარჩლა სერბიას, თვითონ დაიჭერდა მის ადგილს. სწორედ, საარაკო ამბავი მოხდა, დაინგრა ერთი წლის განმავლობაში, თითქოს ქვიშაზე აშენებული ხუხულა ყოფილიყოს.

დღეს არის ველიკოროსია ბოლშევიკური მთავრობით. ეგრეთ წოდებული სახალხო კომისარები შეეცდებიან ცენტრის აღდგენას; მათ დაჰკარგეს დასავლეთი, ეხლა იწევენ სამხრეთისაკენ და უკვე გაჩენილან კავკავში.

საფრთხე მოელის ჩრდილო მთიელებს. კავკასიის მთიელები დიდ გასაჭირში არიან. თერგის ოლქში მძვინვარებს შინაური, სამოქალაქო ომი. ყაზახები ერთი მხრით და კაბარდოელები, ჩაჩნები და ქისტები მეორე მხრით ერთმანეთს ეომებიან; ამ ომს საფუძვლად უდევს ორი მთავარი საკითხი, მიწისა და ეროვნული.

მთიელებს მოაგონდათ წარსული, გაიღვიძეთ ეროვნული თავმოყვარეობა, სურვილი განთავისუფლებისა; იკმარეს ეროვნული ჩაგვრა და შევიწროება. ყაზახები მათი მიწის შუაგულში შეიჭრნენ და მათი მამულდედული უჭირავთ, აღიარეს თავის თავი ბოლშევიკებად და მათ ჯარის მეოხებით უნდათ გაანადგურონ მთიელები.

მთიელები არ დაუბრუნდებიან ნებაყოფლობით ველიკოროსიას, ველიკოროსიას კი მუდამ ექნება მისწრაფება დაიმორჩილოს და დაიმონავოს კავკასიის ერები.

ძველი რეჟიმი თანდათანობით აწყობდა თავის ბნელ საქმეებს და ცდილობდა გაენადგურებინა და გაეთქვიფა მთიელები. ეს ატმოსფერა დარჩა, შექმნილი პრივილეგიები და უპირატესობები ყაზახებისა არ არის გაუქმებული, ასით სარგებლობენ ნაძირალები და აღვივებენ შუღლს და მტრობას.

მთიელებმა მოკავშირე უნდა იპოვნონ, იგინი არ იყვნენ და არც არიან რუსეთის ორიენტაციისა; დაუდგათ მათაც ყოფნა არ ყოფნის საკითხი, და ამის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ გარეშე ძალის დახმარებით; ზურგი უნდა გამაგრონ, და მოაწყონ თავისი ეროვნული და ეკონომიური მდგომარეობა. ეს ძალა იქნება ან გერმანია ან ოსმალეთი; უკანასკნელი გარემოებათა მიხედვით მათ დაუჭერს მხარს.

აღმართულა ბუნებრივი კედელი ჩვენ ა და რუსეთს შორის. ჩნდება ახალი ძალები გარკვეული სახით და მიზნით. ყოველ შემთხვევაში ამ მოძრაობას უდევს სარჩულად თავისუფლება და არა მონობა. მედიდურმა მთებმა ჩაუნერგეს ხალხს წყურვილი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების. იქნება ეს თავისუფლება თავისებურია, როგორც თვითონ კავკასიის ბუნება მაგრამ ეს არის აუცილებელი გზა წინსვლისა და განვითარებისა.

რა ხდება და რა უნდა მოხდეს თავისთავად იქ ია იმას აქვს ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა და ჩვენ თვალყურს უნდა ვადევნებდეთ ყოველ მათ მოქმედებას და მოძრაობას.

იყო დრო, ამ რამდენიმე თვის წინად, როდესაც მთიელებმა მოუწოდეს ამიერკავკასიას კავშირი შეეკრა მათთან, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქმნა. ეს ხომ ფედერაცია იქნებოდა და რევოლუციონური ფრონტის ღალატი.

რევოლუციონურ მთავრობას და ეხლანდელ სეიმის მთავრობას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს არც თავისი თავის გამორკვევისაკენ, არც სხვისა.

აფხაზეთი ხომ ჩამოგვშორდა და ეხლა ჩვენი ძმები აჭარლები ჯერ სიტყვით მოგვმართავენ, გვეხვეწებიან, რათა ჩვენ მათ თავი დავანებოთ. უკვე ნიშნებია, იმისა რომ შესაძლებელია შეტაკება. როგორ ხდება ეს, როდესაც მათ არჩევნებში ხმა მისცეს აწინდელ მთავრობას და წინადაც ამიერკავკასიის რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრად მენშევიკების წარმომადგენელი ა. ი. ჩხენკელი.

ნუ თუ ეს თვალთმაქცობა იყო.

ნუ თუ აჭარლებს არა აქვთ ეროვნული შეგნება, რომ საერთო საქმეს ღალატობენ. ნუ თუ დაგვშორდებიან ჩვენი ღვიძლი ძმები, რომლებთანაც უნდა ვყოფილიყავით ჭირსა და ლხინში? ნუ თუ ჩვენ შორის ადგილი ექნება უთანხმოებას და სიძულვილს? ჩვენ ხომ არაფერი არა გვაქვს გასაყოფი, ჩვენ ხომ არაფერს ვართმევთ და ვცილდებით. ჩვენ გვინდა მარტო მათთან ყოფნა, ძმური კავშირის დამყარება, საერთო მტრისათვის პასუხის გაცემა. ამ ძლიერ ძნელების ხანაში ჩვენ გვინდა ერთად ჩაუყაროთ საძირკველი ჩვენს მომავალს.

მართალია, ჩვენს მოძმეებს თავისებურებანიც ახასიათებს, მაგ., სარწმუნოებრივი, მაგრამ განა ყოფილა იმისთანა შემთხვევა, რომ მათთვის რამიმე ხელი შეგვეშალოს?

თვითმპყრობელობა ჩვენ გვიშლიდა კულტურულ მუშაობას, გვიშლიდა დაგვეარსებინა წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება, საქველმოქმედო საზოგადოება და სხვ..

ჩვენ მტკიცედ ვიცავთ იმ აზრს, რომ აჭარას უნდა მიენიჭოს თვითმართველობა საქართველოს საზღვრებში. სამწუხაროდ, ამიერკავკასიის მთავრობამ აქამდის საჭიროდ არ იცნო ამის აღიარება, თუმცა კი ჰგულისხმობდა მას, მიზეზი ამისა თანდათანობის პოლიტიკაა.

რატომ აქამდის არ გამოვაცხადეთ აჭარის თვითმართველობა და გამოვარკვიეთ ჩვენი ურთიერთობა? ჩვენ პოლიტიკურ მესვეურებს მარცხი მოუვიდათ. ამის გამოსწორება კიდევ შეიძლება; დაყოვნება გვემზადებს ხიფათს.

ი. ბარათაშვილი.

# სამაჰმადიანო საქართველო

## ბათომის მდგომარეობა!

ბათომის მდგომარეობა მეტად რთული და სერიოზულია. მისი გეოგრაფიული მდებარეობა დიდ მნიშვნელოვანია, ამიტომ ბათომი ბევრ სახელმწიფოს აინტერესებს.

შესაძლებელია ამ ინტერესმა ზოგიერთი მეგობარი სახელმწიფოები წაჰკიდოს.

როგორც ჩანს ბათომს მრავალი მტერი ყავს. ბათომის დღევანდელი ბატონ-პატრონნი დიდ საგონებელშია ჩავარდნილი. მათ დიდი გამჭრიახობა სჭირია. ერთი წინ დაუხედობა და ყოველივე გათავდა. ბათომის დაკარგვასთან მთელი კავკასიაც იკარგება იღუპება ქართველი ერიც.

სამწუხარო მოვლენა ერთი რამ, არის. ის, რომ ბათომის ბედ-იღბალში დაინტერესებულნი აჭარლები ვიღაც გარეშე პირების და ბეგების იძულებით ცუდ გზას ადგებიან. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი ამას შეგნებით არ ჩადიან. რომ ეს მართალია,—მტკიცდება შემდეგი გარემოებით: ბათომის ერთ-ერთ საზოგადო დაწესებულების წარმომადგენელთან რამდენიმე აჭრელი სოფლის დეპუტაცია მივიდა და განაცხადა: „აჭარა 1914 წელში ბეგებმა დაღუპა და ახლა მთლად ძირს უთხრიან არა ვქენათ და რა გზას დავადგეთო“. ეს სიტყვები აჭარის მდაბიო ხალხის გულის სიღრმიდანაა ამოსული. ის ოსმალების ბატონობას ვერ შეურიგდება. მან ცოტათი მაინც იგრძნო თავისუფლება, რის დაკარგვას არასოდეს მოისურვებს, მაგრამ იმდენი შეგნება და გამბედაობა ჯერ კიდევ არ შესწევს, რომ ახდილი ბრძოლა გამოუცხადოს ვითომცა მის მოყვარე მტრებს. მას (აჭარას) კარგად ესმის, რომ ოსმალეთის ბატონობის განმტკიცებისთვის ბეგები რატომ უჭერენ მხარს და ეგრე თავგამოდებით იბრძვიან. იციან, რომ მათ ძველი ღირსება ისევ დაუბრუნდებათ. ყოველივე ეს იცის, მაგრამ რა ქნას, ძალა არ შესწევს. ამას შემდეგიც ამტკიცებს:

როცა საქართველოს სოც.-ფედ. სარევოლ. პარტიის ტფილისიდან ჩამოსული რაზმი ფლოტთან ბრძოლის დამთავრების შემდეგ ჩაქვს გაემგზავრა ჩაქვის თავის გადმოსავლის დასაკავებლად ადგილობრივ ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მაჰმადიანთა შორის დამოკიდებულება უფრო მწვავე ყოფილა ჩვენი რაზმის ჩასვლის შემდეგ მდგომარეობა სულ შეცვლილა. როცა მიზეზი ჰკითხეს, პასუხი შემდეგი იყო: **„გვაიძულებენ ახე მოვიქცეთო, თუ ცოტა ძალას დავინახავთ თქვენში, რომ იმათ საფრთხედან გვიხსნას, მაშინ თქვენი ვიქნებითო!!**

არ ვიცი რამდენად გულწრფელია ეს სიტყვები, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია. ასეთი მრავალჯერ გვსმენია აჭარის სხვა კუთხიდანაც. მაჭახლის ხეობის მცხოვრებთ პირდაპირ მუქარით აიძულებენ მათთან შეერთებაზე. რამდენიმე ოჯახი აუყრიათ და ზედა აჭარაში გაურეკიათ. ამის შიშით და ნარჩენებიდან ზოგი ქურდულად იხიზნება და ზოგიც ნებით მიყვება.

ამნაირად, ძალდატანებით მოყვარა ბეგებმა თავი რამდენიმე აჭარელს და ჟჟანყებს დაწყებას ლამობენ. ზოგიერთი ნაბიჯებიც გადადგეს ჩაქვის თავზე (ჭარიდან სადგ. ჩაქვაში გადადის) რამდენიმე კაცი გამოგზავნეს და რკინის გზას ემუქრებოდნენ—ამით კი ბათომს. მაჭახლის ხეობის რამდენიმე მოლობი დაიკავეს და აჭარის წყალზე მყოფ ჩვენ ჯარს დროგამოშვებით ბრძოლას უტეხდენ. ჩვენმა ჯარმა იძულებით უპასუხა, რამაც ჯიროვანი ნაყოფი გამოიღო.

მეტად სამწუხარო ისაა, რომ ჩვენი ძმების წინააღმდეგ ბეგების მეოხებით ჩვენვე უნდა გავილაშქროთ.

აი ამ შემთხვევაში საქმე დიდი სიფრთხილით უნდა სწარმოებდეს. უნდა დაისაჯოს ის, ვისიც ბრალია და ხალხი შეცდომაში შეჰყავს.

ბათომელი ამხანაგი.

## აწყვერის ამბები

ამ ერთი კვირის წინად ბორჯომიდან ახალციხისაკენ გაემგზავრა სომხების შეიარაღებული რაზმი, რიცხვით 60 კაცამდე, რომელთაც ეტლებით თან იარაღი მიჰქონდათ თავისიანებისთვის. დ. აწყვერში სომხების რაზმი მაჰმადიანებმა შეაჩერეს და მოუნდომეს მათ გაჩხრეკა. სომხები წინააღუდგნენ და სროლა დაუწყეს, მაჰმადიანებმა სროლითვე უპასუხეს— მოჰკლეს 8 სომეხი და დაჰჭრეს 10-ზე მეტი, დანარჩენები დაატყვევეს და იარაღიც ჩამოართვეს. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო ყველგან, ბორჯომში და ხეობაში უმალ გაიგეს: ხალხი დიდად აღელდა და საომარ მზადებას შეუდგა. სასწრაფოდ თავი მოუყარეს ბორჯომის წითელ რაზმელებს, შეიარაღებული რაზმელები ამოვიდნენ გორიდან, ხაშურიდან, შორაპნიდან; დეპეშები აფრინეს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. ხეობიდან დაიძრა რამდენიმე ათასი კაცი—უმეტესად ჯარის-კაცები, მრავალი თავისი იარაღით მოდიოდა. შეხვდებოდით მოხუცებულებსაც კი იარაღით ხელში—სულ რომ გავსწყდეთ ის გვირჩევნია, ვიდრე თათრების ხელში ჩავცვივდეთო—ამბობდნენ განრისხებულნი მოხუცნი. ბორჯომში თავმოყრილი, დიდძალი შეიარაღებული ხალხი ტყვიის-მფრქვეველებით და არტილერიით, ოფიცრების უფროსობით, გაუდგა აწყვერის შარა-გზას. აწყვერლები ციხეში და შარა-გზაზე იყვნენ გამაგრებულნი, ჩვენებმა სოფ. დვირში (აწყვერის შორიახლოს) და ზოვრეთში დაიკავეს პოზიციები და გამაგრდნენ. ჩვენმა მზვერავებმა, მაჰმადიანთა მხრით დასაზვერავად გამოსული რამოდენიმე კაცი მოჰკლეს, მათ შორის სოფ. საკირის მცხოვრები აწყვერის სასოფლო მწერალი ლუკა ბახტაძე, რომელსაც ჯაშუშობას აბრალებდნენ თათრებს შორის. სლესის ციხეს (აწყვერის გზატკეცილზეა), სადაც მაჰმადიანები გამაგრებულიყვნენ, ზარბაზნები მიუშინეს. ატმოსფერა თანდათან მძიმდებოდა, ახალციხიდან იტყობინებოდნენ ცუდ ამბებს—მაჰმადიანთაგან ალყა შემორტყმულნი ვართ და ზარბაზნებს ვესვრითო. ამავე დროს სოფ. მოქცევს (აწყვერის მახლობლად), სადაც გაქართველებული რუსები სცხოვრობენ,—დაეცნენ თისელის ქურთები, გაძარცვეს მცხოვრებნი, მთლად გაძარცვეს, ქალები გააუპატიურეს და მიიმალნენ. ამ ამბავმა ხომ რისხვად აქცია ჩვენი ჯარი; მათ ვეღარაფერი იკავებდა. გადაწყვიტეს გაელეწათ აწყვერი, იარაღი ჩამოერთმიათ მაჰმადიანებისთვის და ახალციხეს მიშველებოდნენ. მაგრამ გენერ. არჯევანიძის ბრძანებით ჯარს ნება არ ჰქონდა ადგილიდან დაძრულ ყო, ვიდრე მისი ბრძანება არ გამოვიდოდა. ამავე დროს გენ. არჯევანიძე თანამხლებლებით აწყვერში იყო წასული მოსალაპარაკებლად. აწყვერლებსაც თავიანთი მხრივ დელეგატები გამოეგზავნათ და შერიგებას ითხოვდნენ. გენ. არჯევანიძემ ჯერჯერობით მორიგა ორივე მხარე და მით სისხლის ღვრა ააცდინა ხალხს, მან გზა გაახსნევინა აწყვერლებს ახალციხემდე, სომეხი ტყვეები და იარაღი დაიბრუნა, დაიყამულა ისინი ჩვენი ჯარი ჩამდგარიყო აწყვერში, და რამდენიმე რაზმი გაჰგზავნა ახალციხეში. როგორც გამოირკვა მთელი შეიარაღებული ხალხი მაჰმადიანებისა ასპინძასთან დაგროვილა, მრავალი აწყვერელიც იქით წასულა. აწყვერელი მოხუცი დელეგატის ლაპარაკი და მაჰმადიან გლეხკაცებთან საუბარი მომხდარ ამბების გამო, მრავალს მეტყველებდა უხანაშაული ხალხის სულიერ განწყობილებაზე. მოხუცი დელეგატი ამბობდა: ჩვენ ქართველების შთამომავალნი ვართ, რა გვაქვს გასაყოფი და სამტრო ქართველებთან, მუდამ ერთობით და ტკბილად ვცხოვრობდით და არც შემდეგში უნდა მოვიშალოთ ერთმანეთის ძმობაო, მაგრამ ჩვენში არიან პირები, რომელნიც ჰლამობენ ჩვენი ცხოვრების თავიანთ გემოზე მართვას, ესენი თავის ნების ყოფას გვახვევენ თავზე, რაც მოეპრიანებათ, იმას სჩადიან, მათი შიშით ხმა ვერ ამოგვიღია სიკვდილით გვემუქრებიანო. ჩვენ არც იარაღი გვინდა, არც თოფზარბაზანი, დაგვიყენოს მთავრობამ ძალა უფლებით აღჭურვილი პირები როგორიც ჩხენკელი და რამიშვილიაო, დაგვიფარონ ყოველივე ძალმომრეობისაგან და როგორც აქამდე ვცხოვრია კვლავ ისე ვიცხოვრებთო ამგვარადვე ლაპარაკობდნენ სხვა მაჰმადიანი გლეხები, რომელთა გულწრფელობაში ეჭვი არ მეპარებოდა. მართლაც, რა აქვთ საომარი ჩვენთან, ჩვენ ძმებს—მიწის მუშებს, რომელნიც ქართველ გლეხსავით ჰკვნესოდნენ ბეგ-აღალარების მძიმე უღლ ქვეშ, დღეს ხომ მათაც დაუდგათ ნეტარი წამი ამ უღლის გადაგდებისა. ქართველებს მათდამი შური და მტრობა არა ჰქონიათ გულში—პირიქით ყოველთვის ეხმარებოდნენ მათ ჟამსა უბედურებისას. მაგრამ აი, სცენაზე გამოდიან ბეგ-აღალარები, რომელნიც ბატონობის დაკარგვის შიშით შეგნებულ ავანტიურას დასდგომიან,—ესენი ოსმალთა აგენტების დახმარებით და მათი შემოსვლის იმედით, ხალხის ფანატიზმით სარგებლობენ და ავანტიურის გზაზე გამოჰყავთ, რათა მათი დახმარებით და ოსმალოს ჯარის შემწეობით დასცენ ტანჯული საქართველო და დაკარგული ბატონობა კვლავ დაიბრუნონ. დღეს დღეობით მათ გასავალი აქვთ ხალხში და თავიანთ მუხანათურ გეგმებს ოსტატურად ანხორციელებენ. ცნობილი ავანტიურისტი ომარ ეფენდი აწყვერიდან მყის გაქცეულა, რა წამს აწყვერს ჩვენი ჯარი მიადგა. ეს ცნობა აწყვერელმა დელეგატმა გადმოგვცა. მაჰმადიანთა ბეგები და სხვა ავანტიურისტები ჯარებს რაზმავენ აგრესიული მიზნით,—ეს უნდა შევიგნოთ და ვიცოდეთ ყველამ. დროა სეიმმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს სამაჰმადიანო საქართველოს, დანიშნოს საგამომძიებლო კომისია, რომელიც სასტიკად გამოიძიებს მომხდარ ამბებს, მოსძებნის დამნაშავეებს და რევოლიუციონური სამართლით გაასამართლებს. დრო აღარ იცდის, დაყოვნება დიდ უბედურებას მოგვიტანს.

ამავე დროს საჭიროა ჩვენს მოძმეებში ენერგიული პროპაგანდის გაწევა, სოციალისტური და ეროვნული თვითშეგნების შეტანა მათში. უნდა ნათლად გაიგოს ხალხმა, რომ ის ბეგები და სისხლის მწოველები, რომელთაც ისინი ბრმად ემონებიან და ყველგან კომისრებად და თვისი ბედის გამგებლებად ირჩევენ, ხალხის მოსისხლე მტრები არიან და მათი დაღუპვა უნდათ. ერთმა აწყვერელმა ასეთი კითხვით მოგვმართა:—თქვენში რომ ერთობა არის, ყარდაშ, რატომ ჩვენშიდაც არ არისო. ჩვენ, როგორც ვყოფილვართ ბეგების ხელში, ისევ ისე ვართო. ნუ თუ თავისუფლება ჩვენთვის არ უნდა იყოსო. ჩვენი მოძმეების კლასიური ინტერესების შეგნებას დიდად ხელს შეუწყობს აგრარული რეფორმის დაუყონებლივ ცხოვრებაში გატარება. ეს რეფორმა მთლად შესცვლის მათს ძველ წარმოდგენას ფეოდალებზე. და ახალ ურთიერთობას დაამყარებს. აქეთ უნდა იყოს მიმართული უმთავრესი ყურადღება ჩვენი მთავრობისა.

მეხი გოგია.

## წერილი ახალციხიდან

როგორც გაზეთში იყო გამოცხადებული, ახალციხეში მდგომი ქართული ბატალიონი უკანასკნელად 16 თებერვალს დასთანხმდა მაჰმადიანთა ბატალიონის შედგენაზე ახალციხეშივე და მე-116 პოლკის ნახევარ იარაღის გადაცემაზე, მხოლოდ იმ პირობით, რომ მაზრაში ერთი შეიარაღებული კაცი აღარ უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ ეს დადგენილება არ ჰქონდა გამოცხადებული ქართველთა ბატალიონს, როდესაც მაჰმადიანთა წარმომადგენლებმა, მუსაკიევმა და მისმა ამხანაგებმა, 13 თებერვალს ადგილობრივ ქართულ ინტერპარტიულ საბჭოს განუცხადეს: შემოუშვით ახალციხეში მაჰმადიანთა ჯარი, გადაეცით მას იარაღი და ამის წინააღმდეგი სომხობა არ იქნებაო და თუ ისინი წინააღმდეგნი იქნებიან, ჩვენ მათთან ადვილად მოვრიგდებითო. 16 თებერვალს კი, როდესაც ქართველთა ბატალიონის დადგენილება გადასცეს მაჰმადიანთა წარმომადგენლებს, უკანასკნელნი ცოტა არ იყოს შეყოყმანდნენ: უეჭველია სომხები ნებას არ მოგვცემენ ახალციხეში შემოსვლას და ქართველები ვალდებული ხართ მორიგდეთ სომხებთან სისხლის დაუღვრელად შემოგვიშვან მაჰმადიანები ახალციხეშიო და თუ ერთმანეთში იოლად ვერ წახვალთ ამ საკითხში, მაშინ ქართულმა ჯარმა უეჭველად უნდა გადმოგვცეს ნაწილი იარაღი 116 პოლკისა და, სად ვიყოლიებთ ჯარს, ეს ჩვენი საქმეაო.

რადგანაც მაჰმადიანთა წარმომადგენლების უკანასკნელი წინადადება ეწინააღმდეგებოდა მათ პირველ წინადადებას, ამიტომ ქართველი ჯარის კაცები მტკიცედ ადგნენ თავიანთ პირველ დადგენილებას, რომელზედაც მაჰმადიანები ცოტა კამათის შემდეგ დასთანხმდნენ ისე, რომ თვითონვე უნდა მორიგებულიყვნენ სომხებთან ახალციხეში შემოსვლაზე.

ქართულ ბატალიონის ასეთმა დადგენილებამ, ახალციხეში შეჰქმნა მტრული განწყობილება ქართველებსა და სომხებს შორის. ამ ნიადაგზე ერთი ქართველი მთელი დღე დაპატიმრებული იყო სომხების მიერ და, მას რომ არავინ მიშველებოდა, ლინჩის სამართლით გაასამართლებდნენ სომხები.

თუმცა ქალაქის თავმა (სომეხია) გამოუცხადა ქართველებს, რომ სომხები, თუ ქართველები თანახმა არიან მაჰმადიანთა ბატალიონის შედგენაზე ახალციხეში, წინ არ აღუდგებიან ასეთ თანხმობას, მხოლოდ სომხობა პასუხს ვერ აგებს, იმ შედეგებზე, რომელიც მოჰყვება ქალაქში მაჰმადიანთა ბატალიონის შედგენასო.

რა თქმა უნდა ქალაქის თავის ნალაპარაკევიდან გამოსჭვიოდა ის, რომ ახალციხის სომხობაში არ არის სოლიდარობა, ე. ი. ერთი ნაწილი თუ თანაუგრძნობს ქართული ბატალიონის დადგენილებას, მეორე ნაწილი კი წინააღმდეგია. ამას კარგად გრძნობდნენ მაჰმადიანები და ვერ ბედავდნენ ქალაქში ჯარის შედგენას და სწორედ რომ ითქვას, ქალაქში ჯარის შედგენისკენ არც ისწრაფოდნენ, რადგანაც მნიშვნელოვან პუნქტებში: აბასთუმანში, აწყვერში და ასპინძაში მათი ჯარი იდგა და დღესაც სდგას.

მაჰმადიანებმა ქართულ ბატალიონის დადგენილება სისრულეში არ მოიყვანეს, მაზრაში კი ძარცვა-გლეჯა და ანარქია უფრო გამეფდა, ამისათვის მაზრის ასე თუ ისე დასაწყნარებლად, მ. მუსაკიევის ინიციატორობით 28 თებერვალს მოხდა აბასთუმანში წინასწარი ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ: სეიმის 4 წევრი, მათ შორის ერთი სომეხი ორი მაჰმადიანი ახუნდოვი და ხამედოვი და ერთი ქართველი ი. რამიშვილი. ყრილობაზე დაესწრნენ მთელი მაზრის მაჰმადიანთა წარმომადგენლნი. ქ. ახალციხიდან კი მაზრის უფროსი შ. მაღლაკელიძე და 20 დე სხვა და სხვა პარტიის და ორგანიზაციის წარმომადგენელნი. სხვათა შორის, ყრილობაზე დასასწრებლად ქართულ ინტერპარტიულ საბჭოს მიერ გაგზავნილ იყვნენ: მ. კვალიაშვილი და ზ. დიდამამიშვილი.

ყრილობის სხდომა გაიხსნა 28 თებერვალს ნაშუადღევის 5 საათზე ი. რამიშვილის თავმჯდომარეობით. და და შეწყდა ღამის 11 საათზე.

თავმჯდომარის მისალმების შემდეგ, რომელმაც უსურვა ყრილობას მშვიდობიანობის დამყარება, მაჰმადიანთა წარმომადგენელმა მუსაკიევმა განაცხადა შემდეგი: 1) მაჰმადიანები თანახმა არიან გადაიდოს ახალციხეში მათი ბატალიონის შედგენა იქამდის, სანამ ცხოვრება ქალაქში და მის მაზრაში არ ჩადგება თავის კალაპოტში, 2) იმ იარაღს, რომელსაც ითხოვდნენ ქართულ ბატალიონისგან, ამიერიდან ისინი მოსთხოვენ ამიერკავკასიის სეიმს, ამიტომ სპობენ ქართველ ჯარის-კაცების იარაღის აყრას და 3) მაჰმადიანები მოითხოვენ სულ ჩქარა დამყარდეს ქალაქსა და მაზრაში ძმური განწყობილება მცხოვრებთა შორის.

მუსაკიევის განცხადების შემდეგ სეიმის წევრმა ცხენდოვმა მოისურვა იმ მიზეზების გამორკვევა, რომლებმაც გამოიწვიეს არეულობა მთელ მაზრაში. ამ საკითხის გარშემო კამათი გაგრძელდა 6 საათს. პირველად ილაპარაკა მაზრის უფროსმა მაღლაკელიძემ, რომელმაც ზედ მიწევნით გააცნო ყრილობას ყველა მიზეზი და ბოლოს სეიმის წევრებს კატეგორიული უარი უთხრა მაზრის უფროსობაზე. არეულობის მიზეზებს აქ აღარ მოვიყვანთ, რადგანაც ამაზე ბევრი დაიწერა გაზეთებში, ხოლოდ აღსანიშნავია ის, რომ ყრილობაზე მაჰმადიანი გლეხები ამბობდნენ: მამა მოგვიკვდა და მისგან დარჩენილ ქონებას რატომ არ გვიყოფთო, რატომ არ გვაძლევთ იმ უფლებებს, რითაც თქვენ სარგებლობთო? სხვათა შორის, ერთმა მოლამ განაცხადა: სანამ ახალციხის აჰმადია მეჩეთს არ დაგვიბრუნებთ, ჩვენი თქვენთან შერიგება შეუძლებელიაო. (ეს მეჩეთი იმყოფება ციხეში და 1828 წლიდან გადაკეთებულია ეკლესიად). მოლის ასეთ მოთხოვნას დანარჩენი მაჰმადიანები უარყოფით შეხვდნენ და ჩქარა გააჩუმეს. ქონების გაყოფაზე და უფლებებზე მაჰმადიანებს მგრძნობიარე სიტყვით მიმართა სეიმის წევრმა მამედოვმა. მან ილაპარაკა თათრულად და სხვათა შორის ხაზგასმით უთხრა მაჰმადიანებს შემდეგი: ამ დიდ რევოლიუციაში კავკასიის მაჰმადიანებს არავითარი როლი არ უთამაშნიათ, ქართველებმა კი უპირველესი ადგილი დაიჭირეს რევოლიუციაში. ამის დასამტკიცებლად შემდეგი ფაქტი მოიყვანა მამედოვმა, როდესაც მეორე სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს, მე არხეინად და ჯანმრთელად დავბრუნდი ბაქოს გუბერნიას და ი. წერეთელს კი ბორკილებით კატორღაში უკრეს თავიო. ქართველებმა მოგცეს თავისუფლება, მოგხსნეს „ძლების“ მიერ დადებული ბორკილები, დაიცავით ეს თავისუფლება, როგორც შეეფერება მოქალაქეს, დაიხმარეთ მათ ანარქიის ჩაქრობაზე და როდესაც ამას შეასრულებთ, მაშინ ქონების გაყოფაზე იქონიეთ მსჯელობაო. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაჰმადიანებზე მამედოვის სიტყვამ, მაგრამ ყრილობა პირველ დღეს ვერავითარ გზას ვერ დაადგა. ყრილობის სხდომის გაგრძელება გადაიდო მეორე დღისთვის, ამ დღისთვის სეიმის წევრებმა წინადადება მისცეს ქალაქის და მაზრის წარმომადგენლებს გამოენახათ ისეთი გზა, რომლითაც შესაძლებელი იქმნებოდა ორთავე მხარისათვის მაზრასა და სოფელში მშვიდობიანობის დამყარება.

ქალაქის წარმომადგენლნი შეთანხმდნენ და მეორე დღეს ყრილობას მოხსენდა მათ მიერ გამონახული მაზრაში მშვიდობიანობის დასამყარებლად შემდეგი გზა: 1) უეჭველად და დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას მაზრასა და ქალაქში ძმური განწყობილება, რომელიც გაუგებრობის გამო დარღვეულია 27 დეკემბრიდან. 2) მაზრასა და ქალაქში საჩქაროდ შექმნილ იქმნეს ძლიერი მთავრობა, მცხოვრებთა ნდობით აღჭურვილი. 3) ყველა პოლიტიკური საკითხი ქალაქისა თუ მაზრისა, გადაეცეს განსახილველად ამიერკავკასიის სეიმს, რომლის დადგენილებაც ამ დარგში სავალდებულო იქნება ყველა მცხოვრებისათვის. 4) საჩქაროდ გადაეცეს ამიერკავკასიის სეიმს გასარჩევად მუსულმანთა ჯარის შეიარაღების საკითხი. ეგრეთვე სეიმმა უნდა გადასწყვიტოს მუსულმანთა ჯარის შედგენის ადგილის მიჩენაც. 5) საჩქაროდ არა უგვიანეს 20 მარტისა მოწვეულ იქმნას ქ. ახალციხეში ყრილობა, სადაც დაესწრებიან ქალაქის და მთელი მაზრის წარმომადგენელნი. ამ ყრილობიდან გამოყოფილი იქმნება გლეხთა და ინტერნაციონალური საბჭოები, რომლებიც იმუშავებენ მტკიცე მშვიდობიანობისათვის ქალაქსა და მაზრაში. 6) ზემოაღნიშნული ყრილობის მოწვევა მიენდოს ახალციხეში არსებულ ინტერნაციონალურ საბჭოს და ქალაქის თვითმართველობას. 7) ქალაქში და მაზრაში არეულობის ჩასაქრობად, დაუხანებლივ შესდგეს შეიარაღებული შერეული რაზმი, რომელიც იქმნება მაზრის კომისარის და ქალაქის მილიციის უფროსის განკარგულებაში.

ზემოაღნიშნული ზომები განხილულ იქმნა მუხლობრივ და ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო.

ამით დამთავრდა აბასთუმნის წინასწარი ყრილობა და წარმომადგენელნიც გულდამშვიდებით დაიშალნენ. დაიშალნენ და ეგონათ, ეს არის საქმეც მოწესრიგდაო, მაგრამ ის კი ავიწყდებოდათ, რომ ქაღალდზე დაწერილს ცხოვრებაში გატარებაც უნდოდა. ავიწყდებოდათ, რომ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა. და ამას მკითხველი დაინახავს შემდეგიდან.

—

რუსეთის რევოლიუციის დასაწყისიდან დღემდის ყველა ქაღალდზე დაწერილი კანონი და დადგენილება დარჩა მარტო ქაღალდზე და ესევე დაემართა აბასთუმნის ყრილობის დადგენილებასაც.

ყრილობის შემდეგ არ გასულა სამი დღე და ახალციხეს და მის მაზრას მშვიდობიანობის მაგიერ საშინელი დღეები მოუახლოვდა; არეულობამ მიიღო სტიქიური მსვლელობა.

ახალციხის სომხობას ბორჯომში მოსვლოდა იარაღი, რომლის წამოსაღებად თებერვლის 5-ს რამდენიმე ეტლით გაგზავნილ იქმნა რამდენიმე ათეული სომეხი. ეს ამბავი იმ დღესვე მოედო მთელ ქალაქს და რა თქმა უნდა მაჰმადიანებმაც გაიგეს; გაიგეს იმიტომ, რომ იარაღის წამოღება ბორჯომიდან ახალციხეს საიდუმლოებით არ იყო მოცული და აი სწორედ იმ დროს, როდესაც იარაღით დატვირთულმა ავტომობილმა გამოიარა აწყვერზე, მას დაეცნენ მაჰმადიანები და აუტეხეს სროლა. თუმცა ავტომობილი ვერ გააჩერეს, მაგრამ შიგ მჯდომი მცველებიდან ერთი მოჰკლეს და ორიც დასჭრეს, შოფერი კი რაღაც სასწაულით უვნებელი დარჩა და ავტომობილი იარაღით, მკვდარით და დაჭრილებით მოიტანეს ახალციხეს. ეს მოხდა 6 თებერვალს, დილით, და ახალციხეში მონასტერიც აირია. ახალციხეში შემოსულ მაჰმადიან გლეხობას სომხებმა დაუწყეს დაპატიმრება. ხალხი აირია. სომხების არა ოფიციალურმა „შტაბმა“ გაგზავნა ქალაქის ირგვლივ თავის რაზმები. ასტყდა სროლა სოფ. წნისთან მაჰმადიანთა და სომხებს შორის. სომხების მხრივ დაიჭრა რამდენიმე კაცი. მაჰმადიანების ზარალი არავინ იცის. საერთო სამხედრო ძალების უფროსმა დაინახა, რომ ამ სოფლიდან სომხის რაზმს უკან ველარ დაუხევია, უბრძანა არტილერიას ექვსჯერ ესროლნა სოფელ წნისისთავის. არტილერიამ-კი ისროლა 10—12 ჯერ. იმ საღამოს სომხის რაზმი მობრუნდა ქალაქში. პირველ დღეს ქართველ ჯარის-კაცებს სროლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, რადგანაც ამის ბრძანება არ ჰქონდათ.

რა თქმა უნდა ეს ამბავი მთელი მაზრის მაჰმადიანებმაც გაიგეს და მათაც მოჰკიდეს იარაღს ხელი და დაიწყეს მოქმედება. 7 მარტს ასტყდა სროლა, ქალაქიდან ესროდნენ ზარბაზნებიდანაც. ზოგან თუ სროლა სწარმოებდა სამხედრო ძალების უფროსის ნებართვით, ზოგან თავაშვებული რაზმები მოქმედებდნენ, ამიტომ უფროსმა გასცა ბრძანება ჩემს ნებადაურთველად ერთი ნაბიჯი წინ არ წასდგათ, ერთი ტყვია არ გავარდესო, მაგრამ განა შეიძლება მგლის თავზე სახარების კითხვა?... 7 მარტის საღამოს სომეხთა სოფ. წყრუთიდან გლეხობამ დაიწყო დენა ახალციხისკენ. ამ სოფლის ევაკუაციამ გასტანა ორ დღეს. გლეხობამ წამოიღო რაც კი ებადა. სომხის რაზმებმა წამოიღეს და წამოიყვანეს ამავე სოფლის მაჰმადიანთა სურსათი და საქონელი, არ გაუშვეს ქათმებიც. ესევე დღე დაადგათ ახლო-მახლო მდებარე მაჰმადიანთა სოფლებს, ეზიდებოდნენ ფურგუნებით ფქვილს, ხორბალს, ქერს, ოთხფეხა საქონელს და ლოგინებსაც კი. ამავე დღე დილ ქართველთ სოფელს ანდრია წმინდას, ერთი მხრიდან მაჰმადიანები მიადგნენ. მათ წინააღმდეგ გაგზავნილია ქართველ ჯარის კაცთა რაზმი ზარბაზნით და ტყვიისმფრქვეველით. იქ მაჰმადიანები ტყეში არიან ჩასაფრებული. ქართველების მხრით მოკლულია ერთი ჯარისკაცი, დაჭრილია 4—5. ბორჯომიდან მოდიან გენერალ არჯევანიძეს თავის რაზმით, რათა არჯევანიძის რაზმ აწყვერში მაჰმადიანები არ დაეცნენ, მის დასახვედრად ახალციხიდან გადმართა აწყვერისკენ დიდი, შერეული სამხედრო ძალა. 8 და 9 მარტმა ასე თუ ისე მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ რითი გათავდება საქმე ჯერ არავინ იცის.

დასამალავი ეხლა არაფერია. აწყვერის მაჰმადიანთა შეიარაღებული ძალები მიეშველნენ აჭარლებს გურულების წინააღმდეგ, აქედან ნათლად სჩანს, რომ ახალციხის მაზრის ბეგები, მაჰმადიან გლეხობას უმზადებენ უფსკრულს და თავიანთი ჯიბისათვის, სარგებლობენ სარწმუნოების დოგმატებით. ისიც ნათლად სჩანს, რომ მაჰმადიანები მოქმედებენ ოსმალეთის დირექტივებით, მათი გულისყური მიქცეულია დასავლეთ სტამბოლისაკენ. აბა რა ხელსაყრელია ბეგებისთვის თავისუფლება? მათ სრულებითაც არა სურთ დასავლეთ მაჰმადიანთა რესპუბლიკა, როგორც ამას მოითხოვდნენ გაზეთ „აჩიკ სოზის“ მე 635 № ში. მათი დევიზია ისარგებლონ ფანატიზმით გაჟღენთილი ძალებით, და შეუერთდნენ ოსმალეთს. და აი თავიანთი ზრახვანიც მოჰყავთ სისრულეში.

ახალციხის და მის მაზრის საკითხს მჭიდრო კავშირი აქვს მთელ ამიერკავკასიასთან, ამიტომ არა მკითხკერძო პირებმა—ჯარის კაცი იქნება თუ ერის კაცი—ნება არ უნდა მისცეს თავის თავს ატრიალოს ახალციხის ბედ-იღბალი ისე, როგორც თვითონ მოეხალისება. უეჭველად საჭიროა დისციპლინა და დამორჩილება უფროსისადმი. გვმართებს მეტის მეტი სიფხიზლე, თორემ განადგურება მოგველის. მარტო თოფის ძლებით და პატრონებით საქმეს ვერ გავაკეთებთ საჭიროა შორსმჭვრეტელობაც.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ იარაღით უნდა დავიცვათ სამშობლო ხოლოდ და მხოლოდ გარეშე მტრის შემოსევისაგან, რაც შეეხება შინაურ მტერს უნდა ვეცადოთ დავიმორჩილოთ მშვიდობიანის გზით, რადგანაც, ასე იქმნება თუ ისე, შემდეგში ჩვენი მასთან ცხოვრება აუცილებელია. თუ ჩვენ, მით უმეტეს ქართველები, ამ გზას არ დავადგებით, ქართველებს და მაჰმადიანებს შორის ისეთივე საუკუნოებითი შურისძიება ჩამოვარდება, როგორც არის და იქმნება სომხებსა და მაჰმადიანთა შორის ოსმალეთში. და ასეთი შურისძიება არა მარტო ახალციხის ქართველობის, არამედ მთელ ჩვენ ერს გაუთხრის სამარეს, ამიტომ თუ უუფროსოდ გადავდგამთ ნაბიჯს და უბრალოდ დავღვრით სისხლს, მაშინ მთელი საქართველო მარტო ჩვენ ახალციხელ ქართველებს დაგვდებს ბრალს სამარის გათხრაში.

**ალმოხ გლეთელი.**

# აჭარაში

ყ. ქარცივაძე სწერს „ერთობა“-ს: 9. მარტს გავუდექით გზას. ჩინებული ამინდი იყო. ავედით აჭარის წყალზე, სადაც ჩვენი ჯარი—ოფიცერთა რაზმი სდგას. დაახლოვებით ორი ვერსი გვექნებოდა გავლილი, როდესაც ჩემ გვერდში მჯდომმა შოფერმა ჩაილაპარაკა: „საზღვარზე მივედითო“. მე დაკვირვებით დავიწყე წინ მდებარე გზის თვალიერება და შემდეგ შევეკითხე შოფერს: „საიდანა სჩანს, რომ საზღვარს მივუახლოვდით?“. მან მიმითითა ორ ახალგაზრდა აჭარელებზე, რომელნიც ჩვენს წინ გზის პირად მოსჩანდნენ და მითხრა: „აი მათი პატრულები“. როცა პატრულებს დავუახლოვდით, იმათ ხელი მაღლა აიღეს და წინ გადაგველობნენ. ავტომობილი გაჩერდა. მოვიდა ახალგაზრდა აჭარელი, ავტომობილში ჩამოიხედა და შემდეგ წასვლის ნება მოგვცა. ცოტა მანძილის გავლის შემდეგ კიდევ გაგვაჩერეს. აქ მათი სადარაჯო „პოსტი“ იყო. ოცი თუ ოცდა ათი სხვა და სხვა ძონძებულში სისტემის თოფებით შეიარაღებული აჭარელი გზის მარჯვნით დაემწკრივებიათ. მათ, როგორც შევამჩნიეთ, ერთი ასკერი უფროსობდა. აქ ჩვენ გულდასმით გაგვჩხრიკეს და გაგვიშვეს. ამის შემდეგ დაუბრკოლებლივ მივედით სოფ. ქედაში. დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. ჩვენ წაგვიყვანეს სკოლის შენობაში. გზაზე ხალხი ცნობის მოყვარეობით გვათვალიერებდა, მაგრამ წესრიგის დამცველნიც ილომად იყვნენ, რომელნიც ხალხს არ აძლევდნენ ჩვენს ირგვლივ შეჯგუფების ნებას. სკოლის წინ შემოგვებდა ჯამალ ბეგი, რომელმაც სალამის შემდეგ სკოლის აივანზე მიგვიწვია. კიბესთან მისვლამდე გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებიათ შეიარაღებული რაზმი. თოფები აქაც სხვა და სხვა სისტემის იყო. აქა იქ რუსული ვინტოვკებიც მოსჩანდა; ჩვენ ამ ორ წყებას შორის გავიარეთ და სკოლის აივანზე ავედით. ხალხი აივანის წინ მოგროვდა. პირველად მათ სიტყვით მიმართა დელეგატმა **იულონ რამიშვილმა**. ორატორმა თავის სიტყვაში გაატარა აზრი, რომ ქართველები და აჭარლები ერთი სისხლის, ერთი გვარ-ტომის არიან, რასაც ენა ამტკიცებს. ქართველებს სურთ, გაიგონ, რას ფიქრობს აჭარა, როდესაც საქართველოს განსაცდელი მოელის. ორატორმა სიტყვა დაამთავრა მოწოდებით: „გაუმარჯოს ჩვენ ერთობასო“—„არ გვინდა თქვენთან ერთობა“—იგრიალა უცებ ხალხმა. მოლაპარაკე სახტად დარჩა.

ლაპარაკობს **ირ. ამირაჯიბი**.—ის ამბობს: „თქვენ ორი ძმა გყავთ, ქართველები ერთგნებით და თურქები რჯულით. თქვენ თოფი არ უნდა ესროლოთ არც ერთ ძმას და არც მეორეს. ჩვენ ყოველთვის თქვენთვის ვზრუნავდით და შემდეგშიაც ვიზრუნებთ. ჩვენ გვეშინია, რომ თქვენი ქვეყანა ომისაგან არ აოხრდეს და სხვ. მოუწოდებს ხალხს გონიერებისაკენ.

**გამოდის ერთი აჭარელი** და შემდეგს ამბობს: სიტყვები ბევრი ითქვა ჩვენში, მაგრამ მარტო სიტყვებმა არაფერი არ გაგვიკეთა: ჩვენ ადამიანად არ გვაგდებდით როდესაც ადამიანი ძულებული გახდება, ცხოვრებაზე ხელს იღებს. ეხლანდელი მთავრობა ძველზე უარესი გამოდგა. აჭარლებს, თქვენთვის არასოდეს არაფერი არ დაუშავებიათ. თქვენ კი არაფრად არ გვაგდებთ. მთელი ქონება თქვენ ჩაიგდეთ ხელში: ხაზინა, თოფები, ზარბაზნები, ქალაქები—ჩვენ კი არაფერი არ მოგვეცით. გვითხარით, რა დავაშავეთ? ოად შეაწუხეთ დღეს ამდენი ხალხი თქვენი მოსვლით? ყველა ჩვენ ვამბობთ დღეს, რომ ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია, თქვენმა წინამძღოლებმა მოამზადეს ნიადაგი, რომ ხალხი ამ ზომამდე მისულიყო. ჩვენი ბრალი არ არის. ქონება, ხაზინა შეჰამეთ, თოფ ზარბაზნები დაირიგეთ. ჩვენ არ შეგვხდა აქედან? არაფერი! პოზიცია ტრაპიზონს იქით იყო, აქედან 300 ვერსზე. იქ ვერ დაიცავით, და ეხლა გინდათ ჩვენი ქვეყანა ომის ასპარეზად გახადოთ. ჩვენ ამის ნებას არ მოგცემთ, ბათომი ჩვენი იყო და ჩვენთვის უნდა გადმოგეცათ. ჩვენ მოვითხოვთ აჭარის წყლიდან ჯარი გაიყვანოთ, თორემ სისხლი დაიქცევა და ცოდვა თქვენ კისერზე იყოს.

**ამირეჯიბი** განაარტებას იძლევა, რომ ჯარი, გროვდება ოსმალთა და „ჩეტნიკების“ საწინააღმდეგოთ და მათ ამ მხრით არავითარი საფრთხე არ მოელის.

**რაფიელ ჩიხლაძე.**—მე, როგორც სეიმისა და დელეგაციის წევრს, მსურს ორიოდე სიტყვა გითხრათ იმის შესახებ, თუ რა უბედურება მოელი ჩვენსა და თქვენს ქვეყანას, თუ ქკუით არ ვიმოქმედებთ. დღეს ამიერკავკასია ჩამოყოფილია რუსეთს და თავის ბედს მარტო არის მინდობილი. ამიერკავკასიის ყველა ერის დემოკრატიამ აქ შექმნა თავისი მთავრობა სეიმისა და კომისარიატის სახით და მისცა მათ ჩვენი ქვეყნის პატრონობა. ჩვენმა მთავრობამ პირველ რიგში დიდად დაისახა დაუყოვნებლივ საპატიო ზავის ჩამოგდება, ვინაიდან ომი აოხრებს ქვეყნებს (აქ ორატორმა ომის საშინელებანი ფერადად დახატა მსმენელთ), შეიმუშავეს ზავის პროგრამა, რომლითაც არც ოსმალეთს უნდა წაერთვას ადგილები და არც ჩვენ, ე. ი. დავრჩეთ ძველ საზღვრებში, როგორიც ომამდე იყო. ამ მიზნით სეიმმა აირჩია დელეგაცია, რომელშიაც მუსულმანების წარმომადგენლებიც შედიან და გაგზავნა ტრაპიზონში ოსმალეთის დელეგაციასთან მოსალაპარაკებლად. (ისმის ხმები: „ჩვენგან ვინ არის დელეგაციაში?) — თქვენი ერთმორწმუნე პაიდაროვგ აბაშიძე. ვინ აირჩია? ის ხალხს არ აურჩევია. (სოციალ-დემოკრატებმა აირჩიეს)—სეიმმა აირჩია. მოლაპარაკების შედეგი, ოსმალეთი მოითხოვს დავცალოთ ბათომი, ყარსი და არტაანი. ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ და ჩვენ დასახლებულ ადგილებს ოსმალეთს არ დავუთმობთ. (ხმები: აქი რუსის მთავრობამ დაუთმო, თქვენ რა მოხდება ხართ. ეს ადგილები ძველად ოსმალეთს ეკუთვნოდა და ეხლა მას უნდა დაუბრუნდეს)—ჩვენ ვიცავთ იმ საზღვრებს, რომელიც ომამდე იყო. ხოლოდ ეს ქმნება სამართლიანი ზავი.

ოსმალეთის ჯარს თუ მოვიდებით—ეკითხება რაფ. ჩიხლაძე.—არ მივიღებთ, უპასუხებენ, მაგრამ ის (ოსმალეთი) უფრო გვ უყვარსო.

მათი ორატორები დაჟინებით მოითხოვენ აჭარის წყლიდან ჯარის გაწვევას. მოთხოვნილებას ულტიმატუმის ხასიათს აძლევენ.

**ბ. მარგალიტაძე** — ჩვენ თქვენგან ვთხოულობთ, რომ ოსმალეთთან ომში ხელი არ შეგვიშალოთ. დღეოთ ძან ქნას, რომ ომი აგვმორეოდეს, მაგრამ თუ იგი მოხდა, მაშინ გვინდა ვიცოდეთ, თქვენ გვიმტრობთ თუ არ? (ხმები: „თქვენი საზღვარი მდ. ჩოლოქი იყო. ოსმალეთს იმ ადგილებისთვის თქვენზე უფრო სტკივა გული).

ახლოვანი სიტყვით მიმართავს აზ. ვლ. გელაძე, რომელშიაც მოაგონებს ათ, თუ რა თანაგრძნობით იცავდა ჩხენკელი მათ განსაცდელის დროს.

ლაპარაკობს **ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილი**. უმთავრესად იმეორებს იმავე აზრებს, რაც ზევით მოვიხსენიეთ, ამბობს:—ხალხი მართალია, ვინაიდან ჩვენმა ახალმა მმართველებმა მიიყვანეს ამ ზომამდეო.

კრება ის-ის იყო უნდა გათავებულიყო, რომ მოვიდა ახალციხიდან გამოგზავნილი შიკრიკი: ოგვეშველეთ აჭარლებო, სომხის ჯარმა არტილერიით ჩვენი სოფლები გაანადგურესო. მათთან ერთად ქართველთა ჯარი მოქმედებსო. შიკრიკი რუსულად და დაბალი ხმით ლაპარაკობდა. წინა რიგში მდგომებმა მოითხოვეს გამოეცხადებინათ, რაში იყო საქმე. ამის გამოცხადება—წამლის საწყობში „პიჩქის“ გადაგდება იქნებოდა, მაგრამ, როგორც იყო მოხერხდა და ეს საჯაროთ არ გამოცხადებულა დელეგაცია გამოემშვიდობა კრებას და წამოვიდა.

ვიცი აქ მოთხრობილი ამბავი დაადონებს ქართველობას, მაგრამ ეს მწარე სინამდვილეა და მისი ხელის გადაფარება მეტ ზიანს მოგვიტანს, ვიდრე გამოაშკარავება. ჩვენ ვდგევართ ფაქტის წინაშე: აჭარა ჩვენს წინააღმდეგ ირაზმება და მზად არის ოსმალთა ურდოებს ჩვენი ქვეყნის კარი გაუღოს. ამ ფაქტს ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ ამან არ უნდა გამოიწვიოს ჩვენში არც გადაჭარბებული გულის წყრომა და არც სასოწარკვეთილება. საჭიროა ჩვენი მთავრობისაგან გაბედული, მაგრამ ფრთხილი ნაბიჯები. გონებრივ სიბნელით მოცული და სარწმუნოებრივი ფანატიზმით გაჟღენთილი აჭარის ხალხი ბრმად მისდევს თავის ბეგებს და ხოჯებს. სამწუხაროდ ჩვენდა, ჩვენ მათ ასეთ სულიერ განწყობილებას პროპაგანდა აგიტაციით ჩვენდა სასარგებლოდ ვერაფერს შევცვლით. საკითხს ხოლოდ რეალურ ძალთა დაპირდაპირება გადასჭრის. საბედისწერო წუთი დაუდგა ჩვენს დემოკრატიას. ის ლაბის უკულტურო, ველურ ხალხთა ზღვაში ჩაიხრჩოს, მაგრამ ყოფანი შეუძლებელია. უკან დახევა ხიდებია ჩატეხილია, ჩვენ მტკიცედ უნდა გავსწიოთ წინ, უნდა მივენდოთ ატრბოქილებულ ზღვის მძვინვარე ტალღებს, ვინაიდან სხვა გზა არ არის“.

# ახალი ამბავი

◆ **არჩილ ჯორჯაძის გარდაცვალების ხუთი წლის თავი.** 1913 წლის 21 მარტს საღამოს 11 საათზე გარდაიცვალა არჩილ ჯორჯაძე. ხუთი წლის თავ ს აღსანიშნავად „სახალხო საქმის“ საგანგებო ნომერი იქნება შედგენილი კვირას.

◆ **ქართველ მხატვართ საყურადღებოდ.** ქართველ მხატვართა საზოგადოების გამგეობა სთხოვს ყველა ტფილისში მყოფ ქართველ მხატვრებს დაესწრონ კრებაზე გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში 22 მარტს საღ 6 საათზე განსახილველია საყურადღებო საკითხები.

◆ **ქართველ ქალთა სანიტარული რაზმი** დღეს, ხუთშაბათს 22 მარტს საღამოს 5 საათზე ქალთა უმაღლეს კურსებზე (ანასტასიას ქ. № 22) დანიშნულია ქართველ ქალთა სანიტარულ რაზმის წევრთა საზოგადო კრება.

ამხანაგებს, რომელნიც ჩაწერილი არიან რაზმში, ვსთხოვთ უეჭველად დაესწრონ. მოწყალე დების კურსებზე ლექციები 23 მარტს დაიწყება გაგრძელდება 3—6 საათამდე.

◆ **ქართულ კლუბში.** კვირას 25 მარტს ქართულ დრამატიულ დასის მახიობთაგან წარმოდგენილი იქნება ფრ. შილლერის ცნობილი ტრაგედია „ყაჩაღები“, რომელშიაც მონაწილეობენ დასის საუკეთესო ძალები. ბილეთები დღეიდანვე იყიდება თეატრის კასაში.

◆ **ივ. გეგეჭკორმა** ბათომიდან ნოე რამიშვილის სახელზე დეპეშა გამოგზავნა, რომელშიც იუწყება, რომ ბათომის მცხოვრებლები მხნედ არიან და დღითი დღე იზრდება სამხედრო ძალები. აჭარლებისა და „ჩეტნიკებ ს“ იმათ ზომები მიღებული და ზოგიერთ ადგილას იმათ უკან დაახევინეს.

◆ **ცხინვალის გარშემო.** ჩვენმ რედაქციამ საგანგებო კორესპონდენტად ქ. ცხინვალში გაგზავნა რომან ბეჟიაშვილი.

◆ **ღვინით ვაჭრობა.** 20 მარტიდან გაიხსნა ღვინით ვაჭრობა საგანგებო ბარათებით. შემოზიდვა ღვინისა ტფილისში აკრძალულია საგუბ. სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად.

◆ **უიარაღობა.** ტფილისის საარტილერიო საწყობში იარაღის უქონლობის გამო ცრონულ სამხედრო ნაწილებს იარაღს აღარ აძლევენ.

◆ **ახალი სტილი** ამიერკავკასიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ახლო მომავალში გამოსცეს კანონი დროის გრიგორიანული სისტემით აღნიშვნისა, ე. ი. ახალი სტილის შემოღებისა.

◆ **ბაქოს დელეგაცია.** 20 მარტს სეიმის სხდომაზე არჩეული დელეგაცი ბაქოს ამბების გამოსაძიებლად და სალიკვიდაციოდ გუშინ საგანგებო მატარებლით გაემგზავრა ქ. ბაქოს.

◆ **საეკონომიო ფაკულტეტი ტფილისის პოლიტეხნიკუმში** მომავალ ეკზამენისთვის იხსნება ტფილისის პოლიტეხნიკუმთან საეკონომიო ფაკულტეტი, რომელზედაც იქნება შემდეგი კათედრები: სტატისტიკა, პოლიტიკური ეკონომია, საეკონომიო მეცნიერებათა ისტორიით, საზოგადო ისტორია, აღმოსავლეთის ისტორია, სახელმწიფო უფლება, უფლების ისტორია და უფლების ენციკლოპედია.

# საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის მთ. კომიტეტი

დღეს, საღამოს 8 საათზე, სახალხო საქმის რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა, განსახილველია გადაუდებელი საკითხები.

—

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის, საქალაქო კომიტეტის და მუშათა კავშირის წევრთა საერთო კრებამ მოისმინა ფედერალურ საბჭოს დადგენილებანი, მიიღო ისინი სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად და კერძოდ ომისა და ზავის შესახებ დაადგინა: დადგენილება ფედერალურ საბჭოსი სასტიკად აღსრულებულ იქმნას და ხელი შეუწყოს ქუთაისის გუბერნიის ყველა ორგანიზაციამ სამშობლოს თავდაცვას.

# ამიერ-კავკასიის სეიმი

მე-19 სხდომა, 20 მარტი.

სხდომას ხსნის სეიმის თავმჯდომარე ქ. ჩხეიძე, რომელიც მოახსენებს სეიმს, რომ გუშინ ბაქოდან მიღებულ ცნობების მიხედვით საჭიროა გაიგზავნოს დელეგაცია, რომელიც იქაურ ამბებს გამოიძიებს. სეიმის ბაქოელ დელეგაციას შეადგენენ: ჰაიდაროვი, ტიგრანიანი, ონიაშვილი, მახმუდოვი და მელიქ ეგანოვი.

სეიმი ამ შემადგენლობას კომისიისას უკამათოდ ადასტურებს.

შემდეგ თავმჯდომარე აცნობებს სეიმს დაშნაკცუთიუნის განცხადებას, რომლითაც ეს ფრაქცია მოითხოვს მობდეს არჩევნები მომარიგებელ გამძლკადიან კომისიისა გამოსაძიებლად ერევნის გუბერნიაში მომხდარ ამბებისა და იქ იმუშაობისათვის.

მეორე—განაგრძობს თავმჯდომარე, როდესაც სეიმმა უკამათოდ მიიღო დაშნაკელების წინადადება და აირჩია 5 კაცი (2 დაშნაკელი, ორი მუსავათელი და 1 ეფენდი)—ასარჩევია სახალხო განათლების კომისია 7 კაცისაგან შემდგარი.

თავმჯდომარე მოახსენებს კრებას სამეცნიერო აკადემიის და კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის მუშაკებისადმი—ყველა ის ადგილ-სამყოფელი, რომელიც საისტორიო და საარქეოლოგიო ღირებულებას წარმოადგენს, ამ წუთ იეფო მის ცხოვრებაში გუტაროება დროის ხელუხლებლად დარჩეს.

შემდეგ სეიმი უკამათოდ და კომისიაში წინასწარ განხილვისათვის გადაუცემლად ამტკიცებს კანონპროექტს იმისას, რომ ერევნის გუბერნიაში 17—21 თებერვლის განძარცვლობაში დაზარალებულ მაჰმადიანთა დასახმარებლად გადაიდოს ერთი მილიონი მანეთი თანახმად სეიმისაგან ერთხელ გამოთქმულ სურვილისა.

ცოტაოდენ კამათს იწვევს კანონპროექტი დეპეშათა კავკასიის სააგენტოს დაარსების შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. რამიშვილი** მოითხოვს, რომ ეს კანონპროექტი ეხლავე მიღებული იქმნას სეიმისაგან კომისიაში გადაუცემლად, რადგან საქმის ვითარება დახანებას არ მოითხოვს. დღევანდელი გართულებული მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისა, განსაკუთრებით ფრონტისა, გვიკარნახებს რაც შეიძლება მალე, დაუყოვნებლივ დაარსდეს ეს დაწესებულება, სადაც იქნება ერთხმად გაცხრილული ყველა ცნობები.

**ჯაფაროვი და ირ. წერეთელი** აღნიშნავენ, რომ არაა სასურველი შეიქმნას ისეთი პრეცენდენტი, რომ კანონ-პროექტები იტკიცებოდეს კომისიისაგან დაუდასტურებლივ, გარდა ამისა იღებენ მიდეველობაში საწრაფო ხასიათს ამ პროექტისას და მოითხოვენ სააგენტოს კანონპროექტი წინასწარ გადაეცეს იურიდიულ კომისიას, რომელ ც თავის დასკვნას წარმოადგენს სეიმის მომავალ სხდომაზე.

სეიმი ირ. წერეთლის აზრს იზიარებს და კანონპროექტი გადააქვს იურიდიულ კომისიაში.

საკამო დრო მიაქვს „ნაკაზის“, სეიმის პარლამენტის წესდების განხილვას. მეტი წილი „ნაკაზის“ მუხლებისა კამათს არ იწვევს და უცვლელად მტკიცდება.

მომხსენებელია **რ. არსენიძე.**

მცირეოდენი შესწორებანი შეაქვთ, მეტ წილად სარედაქციო ხასიათისა, **პოპოვს** (ს. დ.), **ჯაფაროვს** და **გ. ხატისოვს.** ზოგს მათგანს სეიმი იწონებს, ხოლო ზოგიერთს არა.

ცოტაოდენი ხალისიანობა „ნაკაზის“ განხილვის დროს შეაქვს იმ მუხლს (76), რომელიც განსაზღვრავს ორ ცნებას: კითხვას (ВОПРОСЪ) და შეკითხვას (ЗАПРОСЪ).

**პოპოვს** შესწორება შეაქვს, რომ „კითხვის“ ნაცვლად იყოს „შეკითხვა“. სეიმი ამ შესწორებას იღებს.

მესამე მუხლის განხილვის და დამტკიცების შემდეგ **ჯ. ფაროვს** რიგ გარეშე წინადადება შეაქვს განხილვა „ნაკაზისა“ შესწყდეს, გადაიდოს სხვა დღისთვის და მოისმინოს ბაქოდან მოსული ძლიერ შემაძრწუნებელი ამბები და მის შესახებ მთავრობის განმარტებანი.

ბგავდი, რომელიც ქ. ჩხეიძეს მაგიერ თავმჯდომარეობს, მომხრეა ჯერ „ნაკაზი" განხილვით დაბოლოვდეს და მერე შეუდგნენ მთავრობის ცნობების მოსმენას, მით უფრო განსახილველი დარჩა რამდენიმე მუხლი.

სეიმი სწრაფად ამტკიცებს ორიოდე მუხლს, რომელიც განსახილველი დარჩა, ქ. ჩხეიძე კვლავ იჭერს სათავმჯდომარეო სავარძელს, ხოლო გზათა მინისტრი მელიქ-ახლანოვი ადის ტრიბუნაზე და მოახსენებს ბაქოს ამბებს იმ ცნობების მიხედვით, რომელნიც მან მიიღო აჯიკაბულიდან გზათა უფროს აგენტისგან. არსებითი შტრიხები ამ ამბებისა ჩვენ გუშინდელ გაზეთში უკვე გვქონდა აღნუსხული.

ვითარება საქმისა ასეთი იყო. 18 მარტს ღამით ბაქოში ასტყდა დიდი სროლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო არტილლერიამ. ციხე დაიპყრეს მეზღვაურმა ბოლშევიკებმა. დაზარალებულნი არიან განსაკუთრებით თათრები, რადგან ბოლშევიკები მათ ებრძოდნენ. ბევრი თათარი ტყვედ არის წაყვანილი. ღამემ 19 მარტს შედარებით მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ მეორე დილით სროლა კვლავ განახლდა. ბაქოსაკენ მიმავალი სამგზავრო მატარებელი № 4, რადგან ლიანდაგი განზრახ წახდენილი იყო, დაიმსხვრა. მგზავრები გაძარცვეს. ბოლშევიკებს აქვთ ერთი ჯავშნიანი მატარებელი, რომელიც სურახანამდე მოძრაობს. სროლა სწარმოებს დიდი ინტერვალებით. ბაქოში ბოლშევიკების ძალა-უფლება მკვიდრდება. პეტროვსკში ამ სამი დღის წინად მოხდა ცხარე შეტაკება დაღესტნელებისა და ბოლშევიკებ შუა. დაღესტნელებმა გაიმარჯვეს. მსხვერპლი თათრების მხრივ დიდია.

მეორე ცნობა, პირდაპირი მავთულით ათიოდე წუთით მოხსენების ადრე მიღებული, ასეთია: ბოლშევიკების მხარეზე ყველა ეროვნებანი არიან, გარდა თათრებისა. ტყვე თათრებით სავსეა თეატრები და კინემატოგრაფები. დიდ დახმარებას ბოლშევიკებს უწევენ მატროსები. ჩემ შეკითხვაზე—ამბობს მელიქ ასლანოვი—ბრძოლა-შეტაკებამ ეროვნული ხასიათი ხომ არ მიიღოო, აგენტმა უარყოფით მი- [illegible] სომხებს თავი კარგად უჭერიათ და იყო შემთხვევა, როცა ერთი სომეხი, რომელიც ეროვნულ შუღლს აღვივებდა, სასტიკად დასაჯესო. მიზეზი თუ საბაბი შეტაკებისა ჯერ არ არის გამორკვეული, მაგრამ ასახელებენ იმას, რომ მაჰმადიანთა რაზმს იარაღის აყრა დაუპირესო. მოსარიგებლად და მშვიდობიანობის დამყარებისათვის ზომები მიღებულია, რითიც უნდა აიხსნას ბრძოლის მიყუჩება.

შინაგან საქმეთა მინისტრი და პრემიერის მოადგილე **ნ. რამიშვილი** პატარა განმარტებას აძლევს ამ ამბებს, იგონებს იმას, რომ წინად ბაქოელი მუსულმანობა ბოლშევიკებს არ უმხრობდიოდა, აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში „მუსსავათს" მტრული განწყობილება ჰქონდა ბოლშევიკებთან, რაშიაც მათ ემხრობოდა ცირე ნაწილი დაშნაკელებისა და, ბოლოს, იმასაც ამბობს, რომ ეს ამბები მოსალოდნელი იყო, რადგან ამ დღეებში ასეთი ცნობა მივიღეთო: კომისარიატის სადგომში გამოცხადდნენ ბოლშევიკები და წინადადება მისცეს ძალა-უფლება და მთელი საქმეები მათთვის გადაეცათ. ბოლშევიკებს გადაწყვეტილი აქვთ—დასძენს პრემიერის მოადგილე—ბაქოში რომ მომაგრდებიან, დასავლეთით წამოვიდნენო.

**ხაფიკოურსკი.** ამ ამბებს ჩვენ და ყველანი დიდი ხანია რაც მოველოდით. ყველამ ვიცოდით, რომ შეტაკება აუცილებელი იქნებოდა, მაგრამ რადგანაც მიზეზების გამო ამიერკავკასიის მთავრობა არავითარ ზომას არ იღებდა ასეთი შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად. ბოლშევიკური პარტია, თუმცა „ინტერნაციონალის" ნიღაბს ატარებს, არსებითად ველიკორუსული პარტიაა, რომელიც მოწადინებულია ყველგან თვის უხეში ძალა გაამეფოს და ამ წადილისათვის იბრძვის კიდეც. ჩვენ მოვითხოვეთ მთავრობისგან და ვთხოვეთ მას დაუყოვნებლივ მიიღოს ბოლშევიკების წინააღმდეგ და ამ შემაძრწუნებელ ამბების სალიკვიდაციო ზომები, თორემ რიგი თქვენზეც მოვა და თქვენც დაგამხობენ, გახსოვდეთ რომ განჯამ და შამქორმა თქვენ გადაგარჩინათ, უიმისოთ თქვენ დღეს აქ არ იქნებოდით. მაჰმადიანთა სოციალისტური ბლოკის სახელით ჩვენ მოვითხოვთ და ვსთხოვთ მთავრობას ყურადღება მიაქციოს მაჰმადიანობას. თორემ ჩვენ ავაოხრებთ, ავაწიოკებთ მათ. დაე გაიგონონ ეს იმათ, აქ არიან მათი აგენტები. ჩვენ დავსწერთ ამ შურის ძიების ისტორიას სისხლის მელნითა. უბაქოდ არ არის კავკასია, არ არის რუსეთი, არ არის რევოლიუცია. დაიხმარეთ მას, თორემ განჯა აღარ შეაფერხებს მათ იერიშს.

**რასულ-ზადე** („მუსსავათი"). მე მინდა განმარტება მოგცეთ იმის გამო, რომ თითქოს „მუსსავათის" პარტია ბაქოში ბოლშევიკებს მხარს აძლევდა. ამას თავის ისტორია აქვს. ქ. ბაქო და ბაქოს გუბერნია ტფილისის მხრივ წყალობას და ყურადღებას ყოველთვის იყო მოკლებული: მილიციის ორგანიზაციაში და ხალხის შეიარაღებაში არავითარ დახმარებას არ უწევდა. ეს ჩვენ წინადაც განვაცხადეთ, ასეთ განსაკუთრებულ პირობების გამო ბაქო, როგორც დიდ ბოლშევიკურ გარნიზონის ბუდე, იძულებული იყო ტაქტიკური მოსაზრებით ისეთ პოლიტიკას დახდგომოდა, რომ საქმე არ გამწვავებულიყო, ხოლო „მუსსავათი", რომელსაც ბოლშევიკები განიავებას უპირობდნენ, ტაქტიკურ ხერხს მიჰმართავდა ხოლმე. მუშათა და ჯ.-კაცთა საბჭოში არჩევნები ჯერ მოხდა დემოკრატიულ ოთხწევრიან ფორმულის მიხედვით. „მუსსავათმა" ბევრი ხმა მიიღო მაგრამ მოითხოვეს არჩევნები ახალი ტეხნიკით. 300 მუშაზე ერთი დეპუტატი და 100 ჯ.-კაცზე ერთი, მატროსები ამასაც არ სთანხმდებოდნენ მოითხოვდნენ თანასწორ რაოდენობას დეპუტატებისას. მაშინ ჩვენ მოვითხოვეთ, რომ ჯ.-კაცებსაც 300 ერთი ყოფილიყო არჩეული. მაშინ მეზღვაურებმა განაცხადეს, რომ თუ ამას მიიღებენ, საბჭოს სამხედრო სექცია გაანებებს თავის მუშაობას. სხვა ფრაქციებმა, გარდა მუსსავათისა და მენშევიკებისა, პირველ გადაწყვეტილებას მეტრის გათანაბრების შესახებ მხარი არ მისცეს. ჩვენ არ გვინდოდა მთლად კავკასიას ცეცხლი მოსდებოდა. ეხლა სეიმს ომს უცხადებენ, იმუქრებიან ტფილისისკენ გამოვილაშქრებთო, თანაც აღნიშნავენ, რომ კომისართა საბჭო არა გვწამსო. ასეთ განცხადებას აწერენ ხელს დაშნაკელები, რომელთა ამხანაგები იმ სეიმში ჩვენთან მუშაობენ, მათი [illegible] ნაწილი რომ ებრძვის. ის არტილერია, რომელიც ბაქოში ამოძრავებულა, სომხის ჯარისაა, რომელიც ბოლშევიკებთან ერთად მოქმედებს ეხლა.

როცა ჩვენ ვამბობდით, რომ დამოუკიდებელ ამიერკავკასიას საფრთხე მოელის არა სამხრეთით მარტო, არამედ ჩრდილოეთიდან, ჩვენ გვეუბნებოდნენ, რა საჭიროა მაგრე ლაპარაკიო. დღეს ხედავთ ვინ ყოფილა მართალი.

თუ მთავრობა არ მიიღებს ზომებს, იცოდეთ, რომ ჩვენთვის შეუძლებელი იქნება აქ ვისხდეთ და აუღელვებლივ საქმე ვაწარმოოთ. ჩვენ გავილაშქრებთ ჩრდილოეთის და ბოლშევიკების წინააღმდეგ.

**მახმუდოვი.** როცა ეს ამბები გაიგო მთავრობამ ლტოლვილთათვის მატარებელი კი არ იყო საჭირო, არამედ სხვა რამ. ბაქოს ამბები შედეგია იმ უუნდობლობისა, რომელსაც მთავრობა მაჰმადიანობას ყოველთვის უჩვენებდა. მთავრობას ძალაც უნდა ჰქონდეს და სახსარიც უწესოების მოსასპობად. ძალას კი მოგცემთ, მაგრამ სახსარი არა გვაქვს წინადადება შემომაქვს შესწყდეს სეიმის სხდომა და დაინიშნოს არა ჩვეულებრივი თათბირი მთავრობის პარტიათა წარმომადგენლებისა. სადახლოს ამბები ან შედეგია ან მიზეზი ბაქოს ამბებისა. ბაქოში დელეგაცია კი არ უნდა გავგზავნოთ, როგორც კრების თავში გადაწყვიტეთ, არამედ ძალა.

ასეთ წინადადებას მთავრობის წარმომადგენელი **ნ. რამიშვილი** თანხმობით ეგებება.

**მახმუდოვი** თავის შეკითხვას და **ხემიონოვი** თავის კითხვას დღის წესრიგიდან ხსნიან.

ამის გამო სეიმის სხდომა სწყდება და იმართება თათბირი მთავრობისა, პრეზიდიუმის და ფრაქციათა წარმომადგენლებისა.

# მუშათა წერილები

ამხანაგებო! დღევანდლამდის ჩვენ არა გვქონდა არავითარი კავშირი და დაქსაქსული ვიყავით. დღეს ჩვენდა საუბედუროდ, როდესაც რევოლიუცია განსაცდელშია და გარეშე მტერი ლამობს ჩვენს შემუსვრას, სწორედ ამ დროს გამოვდივართ რკინის გზის მოსამსახურე ს.-ფ. ჯგუფი ერთის აზრით, რომ შევქმნათ ძმური, ამხანაგური კავშირი, როგორც ჩვენთის, აგრეთვე სამშობლოს კეთილდღეობისათვის. დღეს ყველას პირზე აკერია „თავისუფლება და სამშობლო განსაცდელშია". მაგრამ ჩვენდა სავალალოდ ეს ხმა ვერ ჰპოვებს ღირსეულ პასუხს ზოგიერთის გულში, ჩვენ, როგორც სამშობლოს შვილთ, გვმართებს იარაღით ხელში სამშობლოს და თავისუფლების დარაჯობა, იმ სამშობლოს დარაჯობა, რომელმაც ეროვნული სახე დღემდის პირნათლად შეინახა; ჩვენ უფრო იმისათვის გვმართებს მტკიცე კავშირი, რომ ვართ მუშაკნი იმ დაწესებულებისა, რომელიც შეადგენს სახელმწიფოს უმთავრეს ძარღვს, და თუ ამ დროს ყველა ჩვენგანი არ შეუერთებს თავის ხმას სამშობლოს კეთილდღეობას, მაშინ რაღა იქნება ჩვენი სიცოცხლე. ამისათვის გთხოვთ ამხანაგებო, დღეიდან დაარსებულ კავშირს სინდისიერად მოეკიდოს ყველა ჩვენგანი, არ შეიტანოს დისონანსი საერთო საქმეში, და ჩვენ ყველანი სამშობლოს დარაჯნი ვიყვეთ. ჩვენს სამშობლოს ბევრი რამ დასტყდომია თავს, მაგრამ ის, რაც დღეს მოელის, დიდ განსაცდელს უმზადებს ქართველ ერს. ამხანაგებო! ნუ შეგვაშინებს დაბრკოლებანი და პირნათლად შევასრულოთ ჩვენი ვალი საქართველოს დემოკრატიის წინაშე და ამისათვის უქვემდებარებთ დღეიდან დაარსებულ კავშირს იმ მშრომელი საქართველოს პარტიას, რომელიც არის მთელი ტანჯული ერის სულისკვეთების გამომხატველი, საქართველოს ს.-ფ. სარევოლიუციო პარტიას, რომელიც სრული მფარველი და მზრუნველი იქნება ჩვენ მიერ დაარსებული კოლექტივისა.

გაუმარჯოს რევოლიუციას! გაუმარჯოს თავისუფალ ქართველ ერს. გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.

# ქართველ ქალებს!

ჩვენი მშრომელი ქართველობა ძველი ისტორიული გმირობით შეხვდა დღევანდელს მომენტს. მაგრამ ეხლანდელი ქართველი ქალები კი არ შემი- [illegible] ჩვენი ქართველი დედები თავიანთ შვილებს თვითონ აცილებდნენ ბრძოლის ველზე, დღეს ამას ვეღარ ვხედავთ. იმ დროს, როდესაც პოლიტიკურად მამაკაცებთან ერთად სწორუფლებიანი არიან. ქართველი ქალების ვალია აქტიური მონაწილეობა მიიღონ დღევანდელ კრიტიკული მდგომარეობის თავიდან აცილებაში. შეგნებულს ქალებს იმ ძნელ ჟამს ოდნავ მაინც შემსუბუქება შეუძლიათ, რომელიც მამაკაცებს აწევთ დღეს კისერზე. დღეს ქართველი ქალების ვალია შვილები ძმები და ქმრები, სულიერად გაამხნევონ, ნუგეში სცენ როდესაც სამშობლოს მოყვარული ქართველობა გამოსულია წმინდა და სამართლიანი მიზნით. აი ამ დროს, თუ გინდათ ქართველ ქალებს უმწიკვლო სახელს ატარებდეთ სხვებთან ერთად მოვალენი ხართ ხელი შეუწყოთ. შვილების, ქმრების და ძმების, ბრძოლის ველზე გამგზავრებას. მხოლოდ ამ გზით თქვენ დარჩებით ქართველ დედებთან ერთად ნახსენები, ისტორიის ფურცლებზე. გაუმარჯოს იმ ქართველ ქალებს, რომელნიც უშიშრად და მხნედ შეხვდებიან დღევანდელს მომენტს.

**მუშა ეფხვი კიკლაშვილი.**

# წ.-კ. ს. თელავის განყოფილება

ეს მეცხრე წელიწადია, რაც თელავში არსებობს ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ფილიალური განყოფილება და არას დროს ისე გაჭირვებული არა ყოფილა, როგორც შარშან. ჩვენ წინ დევს შარშანდელი ანგარიში და სანუგეშოს ვერასა ვხედავთ. მიუხედავად საწევრო ფულის ნაწილობრივ შემცირებისა, წევრთა რიცხვმა, მომატების მაგიერ, ძლიერ იკლო. შემოსავლის წყაროდ დარჩა ერთი-ორი გასართობი საღამოები, რომელიც შარშან ორჯერ გაიმართა, მაგრამ ბალანსის გასწორებისათვის სამარისი არ იქნა მისი შემოსავალი.

თელავის განყოფილება ინახავს თავისი ხარჯით თელავში სკოლას. მართალია ასეთ სკოლებს წინად სხვა დანიშნულება ჰქონდა, მაგრამ ეხლა, სკოლების ნაციონალიზაციის შემდეგაც თელავის სკოლის არსებობის საჭიროება მეტი შეიქმნა. ქუჩაში დარჩენილ ღარიბ დედმამის შვილებს მხოლოდ აქ უღებენ კარებს და ეს კი ყურადღების ღირსია.

აი ამ სკოლის ხარჯებმა ამ ბოლო წელს ერთი ორად იმატა, ხარჯებს გასტუმრება უნდოდა და გამგეობა იძულებული იყო, არა თუ სახლის ფონდი დაეხარჯა, არამედ 1916 წლის ნაშთიც გადმოეტანა და წიგნის მაღაზიის მოგების ნაწილიც გადაეწერა, რაც სულ 2000 მან. აღემატება.

მაშასადამე, 1917 წელს განყოფილებას ჰქონია დეფიციტი ორი ათასი მანეთი. მაგრამ წარსულ წელს მაინც ფონდით იყო, თუ ნაშთით, იოლად მიდიოდნენ, ხოლო რა იქნება წელს, აი საკითხი, რომელსაც ეხლავე მიაქცია გამგეობამ ყურადღება. წელს სკოლის ხარჯებმა უფრო იმატა, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელნი ძრიელ მცირე ჯამაგირს იღებენ, მაინც ამ 1918 წლის ხარჯთაღრიცხვა გაიზარდა და თუ ჩვენ ეხლა გვინდა, გვაინტერესებს ასზე მეტი ბავშვის ცოტად თუ ბევრად გათვითცნობიერება, უნდა მის შენახვასაც გაუწიოთ შესაფერისი ანგარიში.

წიგნის მაღაზიის ანაბარად რომ დავტოვოთ სკოლა, ეს ყოვლად შეუძლებელია, ჯერ ერთი მაღაზიის მიზანია სასწავლო ნივთების, რაც შეიძლება დაბალ ფასებში გაყიდვა, რომ მოწაფეებს ხელი შეუწყოთ მის შეძენაში და უნდა სიმართლე ითქვას, მაღაზია სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას. თუ ეს მაღაზია არა, წელს აქაურ გაუმაძღარი ვაჭრების წყალობით რვეული 50 კ.—1 მან. იქნებოდა, როცა 20—30 კ., მეტად არ გაუყიდნია ჩვენს მაღაზიას. საწევრო გადასახადიც ძრიელ ცოტა შემოდის და თუნდა გაზვერდეს, რას იზამს თითო მანეთი ამისთანა დროში, თუ იგი არ გადიდდა. დარჩა გასართობი საღამოები, რომელსაც უნდა დააწვეს ბიუჯეტის მთელი სიმძიმე.

რასაკვირველია თელ. დემოკრატიულ. ქალ. საბჭოც არ დაჰზოგავს თავის წვლილს, მით უმეტეს რომ გიმნაზიას ის წინად 2500 მ. აძლევდა ყოველ წლიურად.

რასაკვირველია, ამისთანა პირობებში გამგეობასაც გაუძნელდება მუშაობა და სკოლის გაძღოლა, მით უმეტეს, რომ გამგეობაში აღარავინ დარჩა და ორიოდე-სამიოდე კაცს უხდება მუშაობა. ამისათვის გამგეობამ საჩქაროდ დანიშნა წლიური კრება, მაგრამ პირველი არ შესდგა და ამისთვის დაინიშნა მეორედ—კვირას 25 მარტს, როცა უეჭველად შესდგება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. იმედია, თელავის საზოგადოება ყურადღებით მოეკიდება ამ კრებას, თუ მართლა აინტერესებს მათ წერა კითხვის საზოგადოება და სკოლის არსებობა.

დაგვიწყებული.

# შემოწირულება

ს. კავრეთის რაზმელებისაგან სოც.-ფედერ. სამხედრო ორგანიზაციამ მიიღო ხუთი თუმანი პარტიის რაზმის საჭიროებათათვის.

სია შემომწირველთა: გ. გიოშვილი, ს. ლაზაშვილი, ყ. გიოშვილი, გურ. გიოშვილი, ნ. ლაზაშვილი, ა. მახარაშვილი, ტ. ქილაშვილი, ს. სოლოღაშვილი, ვ. ქიტაშვილი, მ. ბაზიერაშვილი, ჯიქურაშვილი, მ. ბაზიერაშვილი.

# წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო ყუბანის ოლქის საბჭოების საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტუზიშვილს და ქ. არმავირის ქართველთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრს ამხ. კავჟარაძეს, რომელთა ენერგიულ დახმარებით სიკვდილს გადავრჩით დონის უნივერსიტეტის სტუდენტები: 1) გიორგი ოქროპირიძე, 2) სიმონ მომფორია, 3) ნიკო რუხაძე, 4) გრიგოლ დიდებულიძე და 5) შორეულ ნაოსნობის შტურმანი ლევან ციხისელი.

ამხანაგობის მონდობილობით **გრიგოლ დიდებულიძე.**

გამომცემელი [illegible]
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა


ექიმი კბილისა
## ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 ს. ყაზბეგის ქუჩა, 14, კირპიჩნი ქუჩის შესახვევი, 21.

## საბუღალტრო კურსები
გ. ქ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ძ. ქამქამში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე მე
## მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
## ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
## დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
## პავლე არღაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ფუბანი. 1002

ექიმი
## ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის ქალაქის საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სვირიდეზის ქ. № 1. ტელ. 15—67. 1009

ექიმი
## დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—3 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
## მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. გულისა, ფილტვისა და სისხლის კლინიკებისა, სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
## ნ. ი. მახვილაძე
შინაგანი სნეულებანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. საღამოს 4—6-მდე მოსკოვის ქ. № 11. 294

ექიმი
## შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
## ბ. მ. მუხაძე
იღებს სადლისტაქრო ავადმყოფ[illegible] საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] სავაჭრო[illegible] საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვან[illegible]შვილისა. ტელეფ. 5—11. 1080

ექიმი
## კ. ტყეშელაშვილი
[illegible] ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, [illegible] (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით $5^1/_2$—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
## ზ. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით, ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე საღ. 5 ნახ. ს.-დან 8 ს.-დე. მიხეილ. ქ. № 83. ტელ. № 16—17. 1008

ექიმი
## ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი
## თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი
## გ. გ. მეჰრაბიანცი
შინაგან ავადმყოფობა—ფილტვის—ღვიძლის გულისა. ახალს რენტგენ-ელექტრო-სინათლის კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, დიდი სოლლუქსი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა შინაგანი სნეულებისათვის, პნევმოტორაქსი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 5—7 ს., ბებუთოვის ქ., № 23, ტელეფ. № 7—92. 1036

მარტის 20 გაიხსნება
## ახალი სამკურნალო
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და „კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის.
ღარიბები უფასოთ კვირაობით, ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. 10—12-მდე. 327

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო
## სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ავეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ბ. გ. აგახაროვი: $9^1/_2$—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010



გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:
ერთის თვით 4 მ. 50 კაპ., 3 თვით 13 მ. 15 კ., ნახევარი წლით—27 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 30 კ., რკ. გზის სადგურებზე 35 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი 5—7 საათ., ფოსტით ახე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.